ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

19 — 20 ოქტომბერი, 2013

№248 (6249)

ფასი: 30 თეთრი

19 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“+
ბელა ალანია
ფიქრებით ნაქსოვი ფარდაგი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი



ირაკლი ალასანია: „მთავრობაში არის ხალხი, ვისაც არ ვუყვარვარ“

გვ.3

ვინ უწყობს თავდაცვის მინისტრს პროვოკაციებს

არჩილ კბილაშვილი: „ქვანიას საქმე თითქმის გამოძიებულია“

გვ.2

ნოდარ ხადურმა და გიორგი ვაშაძემ იჩხუბეს

გვ.3

ლევან ვეფხვაძე: „კაცი ჯერ პრეზიდენტი არ გამხდარა და უკვე იმუქრება“

გვ.5

დემურ გიორხელიძე: „ქართული ოცნება“ სულს ღაფავს“

გვ.4

როგორ აპირებს თურქეთი დიდი ოსმალეთის აღდგენას

გვ.6

ჰამლეტ ჭიპაშვილი: „აჭარის მოსახლეობა თურქეთის გავლენის ქვეშაა“

დავით ლორთქიფანიძე: „ბიძინა ივანიშვილი შეცდომაშია შეყვანილი“

გვ.5

თბილისში უსახლკაროთათვის საცხოვრისების აგებას დაიწყებენ?

გვ.9

ISSN 1987-9385

არჩილ კბილაშვილი: „ჟვანიას საქმე თითქმის გამოძიებულია“

ნათია ხურცილავა

პროკურატურის მიმართ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს კითხვები აქვს. რატომ იგვიანებს პროკურატურა გახმაურებული საქმეების გამოძიების შედეგების გამოქვეყნებას? რატომ არის სასამართლო პროცესებზე ხშირად პროკურატურა სუსტად წარმოდგენილი? ეს ის კითხვებია, რომლებზეც გუშინ არასამთავრობო სექტორთან, საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მსჯელობდნენ მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, მისი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი და პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი.

– პროკურატურა არც ერთი პოლიტიკური ძალის სამსახურში არ უნდა იყოს! – ამბობს პრემიერი. მისი განცხადებით, პროკურატურამ მაქსიმალური ავტორიტეტი სანდოობის ამაღლებით უნდა დაიმსახუროს.

– ამ უწყებაში გატარებული რეფორმების შემდეგ პროკურატურა გაცილებით დამოუკიდებელია. მე კარგად ვიცი, როგორი მძიმე წარსული გვქონდა, მთლიანად ჩვენ სახელმწიფო სტრუქტურასა და მათ შორის პროკურატურას. პროკურატურამ უნდა დაიმკვიდროს საიმედო იმიჯი საზოგადოებაში. არავითარი ეჭვი საზოგადოებას აღარ უნდა დარჩეს, – აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, პროკურატურამ გამოცდას უნდა გაუძლოს და დემოკრატიის მიმართულებით სვლა უნდა განაგრძოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ გამოწვევას, რომელსაც თავისუფალი პროკურატურა ჰქვია, ვერ შევქმნით.

– საზოგადოების მოლოდინი პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილებისგან თუ განსხვავდება, ჩვენ ამ ემოციებზე მაღლა უნდა დავდგეთ, –ამბობს კბილაშვილი და მას მაგალითად მოჰყავს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას საქმე.

– ზოგჯერ პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის მისაღები არ არის. თუ საზოგადოების მოლოდინი განსხვავდება პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილებისგან, ჩვენ ამ ემოციებზე მაღლა უნდა დავდგეთ. თუ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სასამართლო პროკურატურის დიქტატის ქვეშ არ იყოს და წნეხისგან უნდა გავათავისუფლოთ, მაშინ სასამართლომ შეიძლება ჩვენთვის არცთუ სასიამოვნო გადაწყვეტილება მიიღოს და ამან არ უნდა დაგვაყენოს ცდუნებების წინაშე, რომ მოდით და ძველ მოდელს დავუბრუნდეთ, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მისივე თქმით, ბაჩო ახალაიასა და სხვა პირთა საქმეები, რომლებზეც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესია, ძალიან კარგად არის მომზადებული და დასაბუთებული, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სასამართლოს, მიიღოს ის გადაწყვეტილება, რასაც ის ფიქრობს.

კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეზე გააკეთა კომენტარი ჟურნალისტებთან არჩილ კბილაშვილმა. მისი განცხადებით, კეზერაშვილთან დაკავშირებით პროკურატურაში გამოძიება კიდევ რამდენიმე საქმეზე მიმდინარეობს.

– რაზეც თავდაცვის ყოფილ მინისტრს აქვს ბრალი წარდგენილი, საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, სხვა დამატებითი საქმეების შესახებ, რომელთა შესწავლა მიმდინარეობს, მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც გამოძიება შესაბამის კონდიციამდე მივა, – განაცხადა კბილაშვილმა.

როგორც ცნობილი გახდა, კეზერაშვილის ექსტრადირებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას პროკურატურა უკვე ამზადებს.

ასევე გახდა ცნობილი, რომ პროკურატურაში საკადრო ცვლილებები მათ მთავარ გეგმებში შედის, რომელიც პროკურატურის რეფორმირების ნაწილი გახდება.

– ჩვენი მიზანია, პროკურატურაში საკადრო პოლიტიკა პროფესიული და აკადემიური დონის მომზადების ხარჯზე განხორციელდეს და არა სხვა რაიმე მიზნით, რაც საშუალებას მოგცემს სისტემამ გამართულად იმუშაოს, თანამშრომლებს შიშის განცდა არ ჰქონდეთ და თავიანთი საქმე განახორციელონ. ასევე სხვა რამდენიმე გამოწვევაა. კერძოდ, ეტაპობრივად უნცნობილი, ეს ჩვენგან პროგნოზირებას არ ექვემდებარება. – განაცხადა კბილაშვილმა.

რაც შეეხება გვამის ექსჰუმაციის საკითხს, მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით თარიღი გარკვეული არ არის.

ლაშა ნაცვლიშვილის შეფასებით, პროკურატურის მთავარ გამოწვევად სანდოობა, დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა რჩება. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, ეს ის სამი პრიორიტეტია, რისკენაც პროკურატურა მიისწრაფვის.

– ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლებაა. დადა მოხდეს მთავარ პროკურატურაში რეფორმის განხორციელება. ეს ნიშნავს იმას, რომ ფუნქციათა გამიჯვნა განხორციელდეს ოპტიმალურად, ცალკეული მოვალეობის შემსრულებელ პროკურორრებს უფლებამოსილებები მოემატოს და კონტროლის მექანიზმი გაძლიერდეს, – განაცხადა კბილაშვილმა.

რაში არ ეთანხმება მანანა კობახიძე ლაშა ნაცვლიშვილს

მთავარი პროკურორის თქმით, არსებობს შესაბამისი რეფორმის მოდელი, რომელიც ევროკავშირის დახმარებით მომზადდა და მისი პრეზენტაცია იგეგმება.

– ამ მოდელს საზოგადოება გაეცნობა. ეს ხელს შეუწყობს უწყების მეტ გამჭვირვალობას. – აღნიშნა მთავარმა პროკურორრმა, თუმცა, იქვე დააკონკრეტა, რომ პროკურატურის პერსონალთა 33% განახლებულია.

მისივე განმარტებით, მომავალში საკადრო ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში, პროკურატურა შესაბამისად იმოქმედებს. ამასთან, არჩილ კბილაშვილმა იმ საქმეებზე გაამახვილა ყურადღება, რომელთა გამოძიება ახალი ხელისუფლების პერიოდში განახლდა ან დაიწყო. ერთ-ერთი ასეთი საქმე ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეა, რომლის გამოძიება, როგორც მთავარი პროკურორი ამბობს ფინალშია, თუმცა, პროგნოზირება იმისა, თუ რა შედეგები დაიდება მისთვის რთული სათქმელია.

ჟვანიას საქმეზე ასევე გუშინ გახდა ცნობილი, რომ ყველა მოწმე უკვე დაკითხულია, მათ შორის დაკითხულია ნათელა მოდებაზე, რომელიც აცხადებს, რომ მან დაინახა, თუ როგორ მიიტანეს ცხედრები საბურთალოს ქუჩაზე.

– პროგნოზირება იმისა, თუ რა შედეგი დაიდება, ჩემი მხრიდან არამართებული იქნება. დაველოდოთ მოვლენებს, ყველა ადამიანი, მათ შორის ნათელა მოდებაძე უკვე დაკითხულია. გარკვეული მოქმედებები როდის დასრულდება, შედეგები როდის გახდება ცნობილი, ეს ჩვენგან პროგნოზირებას არ ექვემდებარება. – განაცხადა კბილაშვილმა.

– ... გა დრო, უკან

მოვიხედოთ და გავაანალიზოთ წარმატებები და წარუმატებლობები. ჩემ მიერ დასახელებული სამი პრიორიტეტი საჭიროა იმისთვის, რომ შეიქმნას ინსტიტუციურად დამოუკიდებელი და ეფექტური პროკურატურა, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

რაც შეეხება მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის უფლებებთან დაკავშირებით გავრცელებულ მოსაზრებებს, რომ სწორედ ნაცვლიშვილი მართავს მთავარ პროკურატურას და ის იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ამ კითხვაზე, ნაცვლიშვილი ასე პასუხობს: რომ „ეს მედია სახეა“.

– მე ჩემი უფლებამოსილება მაქვს და მის ფარგლებში ვმუშაობ. მთავარ პროკურორს კი თავისი უფლებამოსილება აქვს და თავის ფარგლებში მუშაობს, – აღნიშნავს ნაცვლიშვილი.

ლაშა ნაცვლიშვილმა პრესას განუცხადა, რომ ერთ წელიწადში საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ექნება.

– ვფიქრობ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 13 წლის წინ იქნა მიღებული მძიმელებულია. ის აღარ ექვემდებარება გადაკერვა-გადახალისებას, საჭიროა თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ვალიდური და ადეკვატური სისხლის სამართლის კოდექსის შექმნა. სისხლის სამართლის საპროცესო კუთხით საქართველოს კანონმდებლობა გაცილებით უფრო პროგრესული, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსის კუთხით. ეს დეფიციტი შესავსებია. ამდენად ახალი სისხლის სამართლის კოდექსი იქნება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რომლის შემუშავებაშიც პროკურატურა მიიღებს მონაწილეობას. დაახლოებით ერთ წელიწადში საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ექნება. ამ მიმართულებით მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი საბჭოთა კავშირის ანარეკლია, – განაცხადა ლაშა ნაცვლიშვილმა.

უმრავლესობის წევრის, ვიცესპიკერ მანანა კობახიძის განცხადებით, ის არ ფიქრობს, რომ საჭიროა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. კობახიძეს მიაჩნია, რომ გარკვეული ცვლილებები საკმარისი იქნება.

– არ მგონია ასე ყოფილიყო ნათქვამი. გარკვეული ცვლილებები ალბათ საჭიროა და ჩვენ მზად ვართ, რომ პარლამენტმა ამ შემთხვევაში პროკურატურასთან ითანამშრომლოს, რათა მივიღოთ გამართული საკანონმდებლო სისტემა, რა თქმა უნდა ეს ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებსაც და სისხლის სამართლის პოლიტიკა წარიმართოს იმგვარად, რომ დანაშაულთან ბრძოლა ეფექტური იყოს და, ამის პარალელურად, ადამიანის უფლებები დაცული იყოს, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

„რედისონში“ გამართულ შეხვედრას ასევე ესწრებოდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

– პროკურატურამ ეფექტურად უნდა იბრძოლოს დანაშაულის წინააღმდეგ. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ადვოკატთა კორპუსი და პროკურატურა სრულ ჰარმონიაში იყვნენ ერთმანეთში – ეს დემოკრატიის დასასრული იქნება. პარლამენტი თავის პასუხისმგებლობას იღებს. დაბოლოს, გავბედავ და მიუხედავად იმისა, რომ მრავლად არიან აქ პროკურატურის წარმომადგენლები, ვიტყვი, რომ პრინციპულად ვერ დავეთანხმები პროკურორებსა და ბატონ ბიძინა ივანიშვილს იმაში, რომ პროკურატურაში კორუფცია არ არსებობდა. საკუთარი ძალაუფლების გამოყენება თანამდებობის შესანარჩუნებლად და ამისთვის კანონის დარღვევა – ეს კორუფციაა. თავისმართლება იმით, რომ დავით უსუფაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა, ან თუნდაც არჩილ კბილაშვილმა ეს მიბრძანა და ამიტომ გავაკეთეო – ეს ეტაპი უკვე დასრულდა, ახლა უნდა გავაგრძელოთ რეფორმები და პროკურატურას ამაში წარმატებებს ვუსურვებ, – განაცხადა უსუფაშვილმა.

შეხვედრაზე მიწვეული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი. ელჩმა ჟურნალისტებთან სამართლიანობის აღდგენაზე ისაუბრა, რომელიც, მისი შეფასებით, მარტივი არ არის.

– სამართლიანობის აღდგენა მარტივი პროცესი არ არის, – ამბობს ნორლანდი.

როგორც რიჩარდ ნორლანდი აცხადებს, ორი სტრუქტურა, რომელიც პოლიტიკური წნეხიდან თავისუფალი უნდა იყოს, პროკურატურა და სასამართლოა.

რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, რაც შეეხება ღონისძიებას, მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები საზოგადოებას იმ სიახლეებს აცნობენ, რომელთა მიზანს გამჭვირვალობის, ობიექტურობის და პროფესიონალიზმის დანერგვა წარმოადგენს.

– ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეების განხილვა სასამართლოში უნდა მოხდეს და არა საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე, – მიიჩნევს ის.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით უდანაშაულობის პრეზუმფცია დაცული იყოს.

– ამერიკის შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს ძლიერ და ეთიკურ პროკურატურას, რომელიც სრულად იცავს კანონის უზენაესობას ყველა შემთხვევასთან მიმართებით. მათ შორის, ყოფილ სამთავრობო მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით გამოძიებაში და მათთვის ბრალდების წაყენების დროს მნიშვნელოვანია, დაცული იყოს უდანაშაულობის პრეზუმფცია, ასევე, უზრუნველყოფილი იყოს, რომ ამ საქმეების განხილვა მოხდეს სასამართლოში კანონის შესაბამისად და არა საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე. ამ ღონისძიებით იწყება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პროცესი, რომ მოხდეს საზოგადოების დამოკიდებულების ცვლა შიშის კლიმატიდან და გადავიდეს ნდობის კლიმატიდან, – განაცხადა ნორლანდმა.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურის სრული დამოუკიდებლობა. უზრუნველყოფილი იყოს.

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ეთანხმება პროკურატურის მიერ გუშინ პრეზენტაციაზე გამოტანილ პოზიციას რეფორმებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება კონკრეტულ საქმეს, რომელზეც ომბუდსმენს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, არასრულწლოვანი გოგა ძველაიას გარდაცვალების ფაქტის გამოძიებაა. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პატიმარ ძველაიას გარდაცვალების საქმე პროკურატურამ უნდა გამოიძიოს.

უჩა ნანუაშვილი პრეზიდენტის მოწოდებას პასუხობს იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო დამცველმა აღნიშნული საქმის კონკრეტული გარემოებები შეისწავლოს.

– ამჟამად დამატებითი ინფორმაციის მოძიება მიმდინარეობს. საქმის შესასწავლად, მნიშვნელოვანია, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ოფიციალური დასკვნა, რომელიც ჯერ არის დასრულებული. გიორგი ძველაიას გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება წარიმართოს დროულად და ეფექტურად, – ნათქვამია ომბუდსმენის განცხადებაში.

მისივე ცნობით, სახალხო დამცველი ყურადღებით დააკვირდება გამოძიების მიმდინარეობის პროცესს და დასრულებისთანავე გაეცნობა სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას, რის შემდეგაც აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საკუთარ შეფასებას გამოაქვეყნებს.

მთავარი პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ნინო ბერუაშვილმა მთავარი პროკურატურის მიერ ინოვაციური პროექტების განხორციელების შესახებ ისაუბრა. ერთ-ერთი პროექტი ითვალისწინებს პროკურატურის საქმიანობის მონიტორინგსა და გაუმჯობესებას.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნოდარ ხადურმა და გიორგი ვაშაძემ იჩხუბეს

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვას იწყებს. მეოცნებეები შარშან დაგვპირდნენ, რომ 2014 წლის ბიუჯეტი ისეთი იქნებოდა, ერი და ბერი აღფრთოვანდებოდა. აღფრთოვანებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბიუჯეტის პროექტით ერის ნაწილი აღშფოთებულია. ალბათ, არ გაგიკვირდებათ იმის გაგება, რომ ყველაზე მეტად ნაციონალები არიან აღშფოთებულნი.

მშობლიური ნაცმოძი ხელისუფლებაში მეოცნებეების მოსვლის შემდეგ ქართულ ეკონომიკას შეუჩერებლად დასტირის. ამტკიცებენ, რომ ეკონომიკა დაიქცა და ჩამოიშალა.

მეოცნებეები, ბუნებრივია, არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას და ამტკიცებენ, ეკონომიკა ვითარდებაო. ბიუჯეტის და ეკონომიკის გარშემო მათ გუშინ მოუხდათ წამუსაიფება. მუსაიფი ხმაურიან დაპირისპირებაში გადაიზარდა.

გუშინ საქართველოს პარლამენტს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ესტუმრა. მან პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს მომავალი წლის ბიუჯეტი აახლა განსახილველად. განხილვა კომიტეტის სხდომაზე მოხდა. სხდომას საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

ისინი რიგ საკითხებში ხადურს ჩაეძივნენ, ჩამჭრელი კითხვებიც დაუსვეს და, როცა მიხვდნენ, ხადური არ მიიჭირხვნებოდა, პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს.

მანამდე კი მეოცნებეებს შეუსრულებელ დაპირებებზე ეკამათნენ. ოცნება დაპირებებს რომ ვერ ასრულებს, ეს ფაქტია. თუმცა მეორე საკითხია, რამდენად აქვთ ნაციონალებს ვინმეს გაკრიტიკების მორალური უფლება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე შეუსრულებელ დაპირებებს ეხება.

გუშინდელ სხდომაზე განსაკუთრებით დეპუტატი გიორგი ვაშაძე აქტიურობდა. მან რამდენჯერმე მიიტანა იერიში ნოდარ ხადურზე. ფინანსთა მინისტრმა შემოტევები კარგად მოიგერია და ნაციონალებს იქით დასდო ვალი. არც ძველი ცოდვების გახსენება დავიწყებია.

– მე შეგახსენებთ, საარჩევნოდ თქვენ მიერ აღებული იყო ვალდებულება, რომ პენსია უნდა ყოფილიყო 100 დოლარი. შემდეგ, პატარა შეგეშალათ და 100 დოლარის საპენსიო პაკეტი უნდა ყოფილიყო, ესეც არ გააკეთეთ. 2009 წელს უნდა ყოფილიყო 100- დოლარიანი პენსია. ამიტომ ძალიან გთხოვთ რა... მოსვლიდან 4 თვეში გავათანაბრეთ თქვენი იდიოტურად გაყოფილი პენსია. იდიოტურია, როდესაც 65 წლის პენსიონერს აქვს 110 და 125 აქვს 67 წლისას. გავათანაბრეთ პენსია და გახდა 125 ლარი, ხოლო პირველ სექტემბერს გაუსწრო საარსებო მინიმუმს და გახდა 150 ლარი, – უთხრა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა დეპუტატ გიორგი ვაშაძეს.

ისე, რადგან პენსიებზე მიდგა საქმე, ოცნების დაპირების მიხედვით, პენსია მიმდინარე წლის აპრილში 240 ლარი უნდა გამხდარიყო.

ნოდარ ხადურის პასუხმა გიორგი ვაშაძე აღაშფოთა. ის განსაკუთრებით ფრაზამ „იდიოტურად გაყოფილი იდიოტური პენსია“ აღაშფოთა. ვაშაძის მტკიცებით, იდიოტური ის ბიუჯეტია, რომელიც ნოდარ ხადურმა პარლამენტში წარმოადგინა.

ნაციონალი დეპუტატი დაინტერესდა, თუ რატომ იღებს საოცნებო მთავრობა დამატებით 400-მილიონიან შიდა ვალს. ფინანსთა მინისტრი არ დაიბნა და ამ ვალის აღებაც ბრალად ნაციონალებს დასდო.

– ამ შიდა ვალს ზუსტად იმიტომ ვიღებთ, ბატონო გიორგი, რომ თქვენმა მთავრობამ 1,5 მილიარდი ლარი ზედმეტი გადასახადი ამოიღო. დახარჯა ეს ზედმეტი გადასახადი და ახლა ჩვენ უნდა დავაბრუნოთ ეს ზედმეტი გადასახადი, თორემ ბიზნესი ღაფავს სულს, – განაცხადა ხადურმა.

ამ საკითხის გარკვევას, ეტყობა, ნაციონალები დიდი ხანია ცდილობენ. გუშინ გაირკვა, რომ მათ ხადურის კანტორაში რამდენიმე უსტარიც გაუგზავნიათ.

– სამჯერ გამოგიგზავნეთ წერილი, რომ კონკრეტულად დაგეთვალათ რამდენია დასაბრუნებელი უკან. თქვენ აბსოლუტურად არასწორ პასუხებს მწერდით, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

სანამ ვაშაძე და ხადური ბიუჯეტის გარშემო კამათობდნენ, ერთმანეთი დეპუტატებმა ომარ ნიშნიანიძემ და გია თედორაძემ მიჭირხნეს. კარგა ხნის კამათის მიუხედავად, მაინც ვერ გაარკვიეს, რომელ მათგანს ჰქონდა სასნავლი ნორმალური ლაპარაკი.

გიორგი ვაშაძე კი ისევ ბიუჯეტის პროექტს დასტიროდა. მისი განმარტებით, 2014 წლის ბიუჯეტი კატასტროფულია და აბსოლუტურად არარეალური პარამეტრებითაა გათვლილი.

– სამწუხაროდ, პენსია არც ერთი თეთრით არ გაიზრდება, თუმცა მინისტრს ვერ ვათქმევინეთ, რას აპირებს ამ მიმართულებით. სამწუხაროდ, გაცილებით დიდ ვალს იღებს სახელმწიფო. 400 მილიონ მაღალპროცენტიან შიდა ვალს იღებს და ამით აპირებს სოციალური ვალდებულებების გასტუმრებას. ამაზეც ვერ მივიღეთ პირობა მინისტრისგან, რომ არ გააკეთებს. ეს ხდებოდა შევარდნაძის დროს და ამან მიგვიყვანა გაყინულ პენსიებამდე. დღევანდელ დისკუსიაში, ამას დისკუსიაც არ ჰქვია, ყოველთვის ცდილობენ, რომ ყოველთვის ყველა პრობლემა გასულ პერიოდს გადააბრალონ. ერთი წელი გავიდა, რაც მთავრობაში არიან. ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანას მართავენ. რა მივიღეთ ერთ წელიწადში? გაზრდილი უმუშევრობა, 600- მილიონიანი გარღვევა მინიმუმ წლის ბოლოს, შემცირებული ეკონომიკური ზრდის ტემპი, შემცირებული ექსპორტის ზრდის მაჩვენებლები. ქვეყანა ღრმა ეკონომიკურ კრიზისშია, – განაცხადა ვაშაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას, რომელმაც სხვა ნაციონალებთან ერთად კომიტეტის სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა. ამ დემარშთან დაკავშირებით თავისი შეხედულება აქვს ნოდარ ხადურს. ფინანსთა მინისტრიეს განმარტებით, საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა შეხვედრა იმიტომ დატოვეს, რომ მათ არგუმენტები არ ჰქონდათ, ხოლო მათი პრეტენზიები მიუღებელი იყო.

– ნაციონალურმა მოძრაობამ შეხვედრა იმის გამო დატოვა, რომ მათ არგუმენტები არ ჰქონდათ. მათ არ სურთ რეალობის დანახვა, რადგან ქვეყანა ვითარდება. მომავალი წლის ბიუჯეტი იმ ძირითად პრიორიტეტებზეა მორგებული, რომელთა განხორციელება ყველაზე მნიშვნელოვანია, – განაცხადა მინისტრმა.

მინისტრმა გუშინ განმარტებები დაგროვებით პენსიებთან დაკავშირებითაც გააკეთა. მისი თქმით, ეს გრძელვადიანი პროცესია, თუმცა მისი განხორციელება აუცილებელია.

– ეს ძალიან გრძელვადიანი პროცესია და იმ პენსიონერებს, რომლებიც დღეს პენსიას იღებენ, არ შეეხებათ. ეს არ მოხდება დღეს ან ხვალ. დამქირავებელი ან ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადების ნაწილი, რომელსაც დღეს ვიხდით, დაგროვდება საპენსიო ფონდში. როდესაც გავალთ პენსიაზე ჩვენი ე.წ. სტაჟის მიხედვით ავიღებთ პენსიას, რომელიც გაცილებით მაღალი იქნება. ამით არც ერთი გადასახადის გაზრდას არ ვაპირებთ. ფინანსთა მინისტრი და მთავრობა კანონმორჩილი ხალხი ვართ და გადასახადების გაზრდას არ ვგეგმავთ, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

პროექტის სამუშაო ვარიანტი, რომელიც კომიტეტებზე განიხილეს, შენიშვნებით საქართველოს მთავრობას დაუბრუნდება. ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი პარლამენტში 5 ნოემბერს შევა, სადაც უკვე დამუშავებული პროექტის განხილვები პლენარულ სხდომებზე გაიმართება.

ირაკლი ალასანია: „მთავრობაში არის ხალხი, ვისაც არ ვუყვარვარ“

შორენა მარსაგიშვილი

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას საქმე მთლად კარგად არ არის. უკვე ნათელი ხდება, რომ ის პრემიერ-მინისტრს თვალში არ მოსდის. საჯარო გამოსვლებში ივანიშვილმა არაერთხელ გაჰკრა კბილი თავდაცვის მინისტრს. არადა, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ სწორედ ალასანია მოიაზრებოდა მეოცნებეთა საპრეზიდენტო კანდიდატად.

ახლა კი ყველა იმის მოლოდინშია, როდის დატოვებს ალასანია პოსტს. ნაციონალებს იმედი აქვთ, რომ ამ გადაწყვეტილებას ალასანია უახლოეს მომავალში მიიღებს. მათივე მტკიცებით, ალასანიას ახალი პრემიერი თავდაცვის მინისტრის პოსტზე აღარ დატოვებს. არადა, გამოკითხვებით ის ყველაზე პოპულარული მინისტრია და შესაძლოა ამის გამო ის ვიღაცებს ნერვებს უშლის. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ გულხელდაკრეფილი არც ალასანიაა და რამდენიმე კოლეგას რაღაც-რაღაცებს უჩალიჩებს.

გაჩალიჩებით მასაც უჩალიჩებენ რაღაცებს. ბოლო ხანებში სამხედრო ნაწილებში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებმა საეჭვოდ იმატა. მავანი ეჭვობს, რომ ეს თავდაცვის მინისტრიეს წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილია.

ასეთი ფაქტები, ბუნებრივია, საზოგადოების აღშფოთებას იწვევს. საზოგადოებას ისიც აინტერესებს, თუ რატომ ედო ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებს გრიფით „საიდუმლო“. ამ საკითხთან დაკავშირებით 2 დღის წინ ბიძინა ივანიშვილმაც გამოთქვა გაკვირვება. პრემიერს ბევრი რამ არ უკვირს და რაღაცაში რომ არ იყოს საქმე, არც ამ ამბავს გაიკვირვებდა, ანდა გვეტყოდა, გაგებით მოეკიდეთო.

ზუსტად რა ხდება მთავრობაში, ძნელი სათქმელია. ალასანია ვინმესთან დაპირისპირებას უარყოფს, ამასთან, აღიარებს, რომ ის მავანს არ მოსწონს. ამ ფაქტს ის გაგებით ეკიდება.

– ჩემთვის ცნობილია, რომ არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც არ ვუყვარვარ, არ მოვწონვარ და კრიტიკა ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია, რადგან ის დემოკრატიის ნაწილია, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ირაკლი ალასანიამ.

როგორც ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, მისთვის მიუღებელია და დანაშაულად მიიჩნევს საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით მიზანმიმართულ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას.

– დღეს საქართველოს ჰყავს შეიარაღებული ძალები, რომელსაც შეუძლია, საკადრისი პასუხი გასცეს მოწინააღმდეგეს. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს აქვს უფრო მეტი ხელფასი, აცვია უკეთესი ფორმა და აქვთ უკეთესი კვება და, რაც მთავარია, არის აპოლიტიკური. ეს არის ჩვენი მთავრობის ყველაზე დიდი მიღწევა. დარწმუნებული ვარ, ჯარშიც და საზოგადოებაშიც ამ თემაზე ადეკვატური ინფორმაცია არსებობს, – განაცხადა ალასანიამ.

მინისტრი ამაყობს იმით, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს აქვს უმაღლესი შეფასება, მათ შორის, ნატოსა და ევროპისგან.

– მსგავსი პატარა ინფორმაციები საქართველოს სვლას ევროატლანტიკური მიმართულებით ვერ შეაჩერებს, – ამბობს მინისტრი.

ირაკლი ალასანიას თქმით, მისთვის დიდი პატივია, რომ ემსახურება ადამიანებს, ვინც საქართველოს იცავს.

რაც შეეხება ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტს, ირაკლი ალასანიას აცხადებს, რომ ეს არის პროვოკაცია და ცრუ ინფორმაცია, ამასთან, ადასტურებს, რომ ასეთი ფაქტები ადრე მოხდა. ამ ფაქტებს, მინისტრის განმარტებით, სამხედრო პოლიცია სწავლობს და უახლოეს მომავალში მასალებს პროკურატურას გადაუგზავნის.

გუშინვე თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო მოსამსახურეების მოწამვლის განმარტება გააკეთა. როგორც სამხედრო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, 2013 წელს შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა ბაზაზე სამხედრო მოსამსახურეებს შორის სულ 11 დიარეის ფაქტი დაფიქსირდა.

სამინისტროს ცნობით, ყველა ამ ფაქტთან დაკავშირებით სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული.

– ამ შემთხვევების შედეგად 91 სამხედრო გადაყვანილ იქნა სამხედრო ჰოსპიტალში სრულყოფილი დიაგნოსტირებისა და დინამიკაში დაკვირვების მიზნით.

ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის დასადგენად ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, დადგინდა სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა – ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად.

გარდა აღნიშნული 11 შემთხვევისა, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რიგი თანამდებობის პირების მიერ, თავდაცვის სამინისტროს ნაწილებში ინფრასტრუქტურის სფეროში გამოვლენილ და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევების ფაქტზე.

ყველა ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, მთავარი პროკურატურის გადაწყვეტილებით, ერთ სისხლის სამართლის საქმედ გაერთიანდა.

იმის გათვალისწინებით, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ობიექტების დისლოკაციის, სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ კრებითი მონაცემებისა და თავდაცვისუნარიანობასთან დაკავშირებული სხვა სახის ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, მითითებული საქმის მასალების ნაწილს, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვს გრიფი „საიდუმლო“.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, საგამოძიებო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია საჯარო არ გახდეს. მიუხედავად აღნიშნულისა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, თავდაცვის სამინისტრო, შესაძლებლად მიიჩნევდა იმ ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონს არ დაარღვევდა გამოძიების მიმდინარეობას და ხელს არ შეუშლიდა.

საზოგადოებაში სისტემატურად ვრცელდებოდა მცდარი ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურეთა მოწამლულთა რიცხოვნობის და დაავადების შესახებ. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაზე თავდაცვის სამინისტროს მიერ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის დაცვით ხდებოდა, რომელიც ხელს გამოძიების მიმდინარეობას არ შეუშლიდა.

მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს საჯაროდ გავრცელდა სხვადასხვა ინფორმაცია, თითქოსდა ორასამდე სამხედრო მოსამსახურე იყო საკვებით მოწამლული. სინამდვილეში, მხოლოდ 7 სამხედრო მოსამსახურეზე დადასტურდა მსუბუქი ინფექციური წარმოშობის დიარეა და გასტროენტერიტი. ამ ფაქტთან დაკავშირებით იმავე დღეს თავდაცვის მინისტრის მიერ საჯაროდ მასმედიასთან გაკეთდა ზუსტი და ამომწურავი განცხადება საქმის არსებით გარემოებებთან დაკავშირებით.

ანალოგიური შემთხვევის შესახებ, რომელიც 11 ივნისს მე-3 ბრიგადაში დაფიქსირდა, როდესაც 11 სამხედრო მოსამსახურეს სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა დაუდგინდა, საზოგადოებას კანონის ფარგლებში ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება დღემდე არ არის მიღებული, მოკვლევის დაწყებისთანავე თავდაცვის მინისტრის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შესაბამის პასუხისმგებელ მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ ზომების გატარების შესახებ, კერძოდ: არასწორი ლოგისტიკური დაგეგმვისა და შესყიდვების გამო, ჟ-4/8 ლოგისტიკისა და რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი ზვიად შანავა გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ დათუკიშვილი ჩამოშორებულ იქნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას ,,საჯარო სამსახურის კანონის“ 91 მუხლის I და II მუხლის თანახმად და მის მიმართ გატარებულ იქნა დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

თავდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ სამხედრო მოსამსახურეთა კვებით მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით, ბოლო პერიოდში ფუნდამენტური ცვლილებები გატარდა. სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამს, აქტიურად ითანამშრომლოს თავდაცვის სისტემით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ხელი შეუწყოს მათ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დაზუსტებაში და საჭიროების შემთხვევაში, გაითვალისწინოს მათი შენიშვნები და რეკომენდაციები გამოვლენილი პრობლემების დროულად და ეფექტიანად გადაჭრასთან დაკავშირებით.

დემურ გიორხელიძე: „ქართული ოცნება“ სულს ღაფავს“

შორენა კოწოწაშვილი

ჰა შეცდომები დაუშვა „ქართულმა ოცნებამ", ჰისთვის ემზადება საპატიმროდ და ჰამდენად სახიფათოა ენერგეტიკის მინისტრის სვლები? – ამ საკითხების იჩგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს დემურ გიორხელიძესთან.

– ბატონო დემურ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, რას იტყვით პოლიტიკურ ფლანგზე არსებულ ვითარებასა და ლიდერებზე? რას ადასტურებს კოალიციის ლიდერის განცხადებები და პრეზიდენტის მიერ კოალიციის არაკომპეტენტურ მმართველობაზე განცხადებები?

– ვფიქრობ, საზოგადოების მოლოდინები და ტრადიციული ქართული ზერელობა არ იძლევა რეალური პოლიტიკური სიტუაციის სწორად დანახვის საშულებას. ამიტომ საზოგადოება ყოველთვის წაგებულია, რადგან არარეალურად, მოლოდინების და სასურველის დონეზე აკეთებს დასკვნებს და არ ითვალისწინებს რეალურ მოცემულობებს. მოცემულობები კი სრულად სხვაა, ვიდრე ჩვენი საზოგადოების მოლოდინია. პოლიტიკური პროცესი უმკაცრესია. იგი არ ემორჩილება ვინმეს სურვილებს, მით უმეტეს, ხალხის სურვილებს. საქართველოში ასეა. ჩვენ ვხედავთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ახალი ხელისუფლების სრული მხარდაჭერით სრულიად რეანიმირებულია, ძალამოკრებილია, ორგანიზებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი. გარედან მხარდაჭერა გარკვეული სოლიდური ჯგუფებისა, ხაზს ვუსვამ, სოლიდური ჯგუფებისა, მაგრამ არა სახელმწიფოების დონეზე, არსებობს. პარალელურად, სამთავრობო კოალიცია „ქართული ოცნება“ სულს ღაფავს. როგორც კი ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა, რამდენიმე თვეში ალბათ ყველაფერი სხვანაირად გადაჯგუფდება. ეს არ არის პოლიტიკური ძალა. მე ამაზე არაერთხელ მივუთითე. არ არის გამოკვეთილი პოლიტიკური სისტემა და სტაბილური პოლიტიკური მოთამაშეები, პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური ლიდერები. საკმაოდ არასახარბიელო სიტუაციაა. ყველაფერი დამოკიდებულია დღეის მდგომარეობით ერთი კაცის ნებაზე და საზოგადოებასაც ასე სურს, რომ ერთმა პიროვნებამ მოუგვაროს მათ ყველა პრობლემა. ამ ერთ პიროვნებას კი, ვხედავთ, რომ სახელმწიფოს მართვა არ შეუძლია. პრინციპში, შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების ფარგლებში, ყოველ შემთხვევაში, რაღაც მონახაზი მაინც არსებობს ამ დემოკრატიული საზოგადოებისა, მართოს ერთმა პიროვნებამ ინსტიტუტების გარეშე, რადგან ინსტიტუტები ჩაანაცვლა მომენტალურად გარემოცვამ. როგორც არ უნდა ახსნას პრემიერ-მინისტრმა, იგი ეყრდნობა არა ინსტიტუტებს, არამედ საკუთარ გარემოცვას. სულაც არ მინდა ვისაუბრო, კარგია თუ ცუდი მისი გარემოცვა. მთავარი ის არის, რომ ეს მისი გარემოცვაა და მისი არჩევანი. ვხედავთ, ბიზნესისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ათასჯერ უფრო რთული სამართავია. ეს ადრეც მივანიშნე მას. აქ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად საღი და მასშტაბური ხედვისაა ის პოლიტიკური ჯგუფი, რომელმაც უნდა იტვირთოს რეფორმები. დღეს ჩვენ გვაქვს გაურკვეველი სიტუაცია.

– ამ ფონზე კი გვაქვს დაშლისკენ, დასუსტებისკენ მიმავალი კოალიცია და რევანშისთვის გამზადებული ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერი საკაშვილი?

– დაშლისკენ მიმავალი კოალიცია, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა გარკვეულად უკვე გამოცდილება აკრეფილია. მართალია, მათი შეცვლა მენტალურად, პოლიტიკური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით შეუძლებელია. ნაცმოძრაობის დაღი ის არის, რომ ოდიოზური ფიგურები ისევ პარტიის ლიდერები არიან. საკაშვილი დღეს ნაციონალური მოძრაობის რეალური ლიდერია. მე სრულად სასაცილოდ მიმაჩნია მოარული ხმები იმის თაობაზე, რომ საკაშვილი შეიძლება პოლიტიკიდან წავიდეს, თუ სამართალდამცავ ორგანოებს სამართლებრივი მტკიცებულება არ გააჩნიათ და სასამართლოს გზით არ შეუძლიათ დაუმტკიცონ ამ პიროვნებას რაიმე. ის, რაც ჩვენ ვიცით და რაც ძალიან ბევრს ჰგონია, და რაც იყო, ეს ერთია; მეორეა სამართლებრივი ფორმა – ბრალის დამტკიცება. ამიტომ თუ სასამართლო განაჩენი არ დადგა, ნაციონალური მოძრაობაც და საკაშვილიც იქნებიან ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეები და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არსებული პარლამენტგარე ოპოზიციური ძალები კვლავ აგრძელებენ არაეფექტურ, არაპროდუქტიულ, დაქსაქსულ და მომსახურებაზე გადასულ პოლიტიკურ მოღვაწეობას, რომელსაც

საეჭვოა პოლიტიკური მოღვაწეობა ეწოდოს. ჩვენც რეალურად უნდა ვიფიქროთ, რომ საჭირო დროს ნაცმოძრაობა აუცილებლად გადადგამს ნაბიჯს ხელისუფლებისკენ. დღეს ქუდი რომ შეუგდონ ხელისუფლებაში, ნაციონალები ხელს არ მოკიდებენ, იმიტომ, რომ დროის პერიოდია მცირე და ხალხში ძალიან მძიმე მეხსიერებაა.

– ანუ ნაციონალური მოძრაობა არ მიდის პოლიტიკურ საფლავში, როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსი აფიქსირებს?

– პოლიტიკურ საფლავში ნაციონალური მოძრაობა არ მიდის. თუ ნაცმოძრაობის მიმართ სასამართლო განაჩენი არ იქნა, თუ არსებობს ამის საფუძველი, მაშინ ეს პარტია, თავისთავად ცხადია, გააგრძელებს საქმიანობას. ვინ უნდა აკრძალოს ან როგორ?! ამ პარტიის მომავალი დამოკიდებულია მის ლიდერებზე და ხალხზე. დღეს ხალხის განწყობა აშკარად ნეგატიურია, მაგრამ ტექნოლოგია ისეა აწყობილი, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრისათვის ნაციონალური მოძრაობისადმი დამოკიდებულება და დღევანდელი დამოკიდებულება ერთმანეთისგან განსხვავებულია. თუკი წესიერად მოახერხებს ნაცმოძრაობა სახის მოდერნიზაციას, ჩამოიცილებს ოდიოზურ პიროვნებებს, რომლებსაც ქართველი ხალხი არასდროს არ მიიღებს, გამორიცხულია, მაშინ იმ ახალგაზრდა ბიჭებს, რომლებიც დღეს ბევრს ლაპარაკობენ და ჰგონიათ, რომ ლაპარაკი და ვიღაცასთან დაპირისპირება და უპატიცემულოდ მოხსენება პოლიტიკაა, ნელ-ნელა ასაკი გამოცდილებას უბიძგებს და უნდა ვივარაუდოთ, რომ იქ რამდენიმე გონიერი ადამიანი სერიოზულ შეიძლება მომავალში პოლიტიკურ ლიდერებად ჩამოყალიბდეს თავის პარტიაში. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს პოლიტიკური ძალა გათავისუფლდება იმ რამდენიმე ოდიოზური ფიგურისაგან. სხვა შემთხვევაში, დღეს მათ უკან მობრუნების შანსი არ აქვთ. იმიტომ, რომ ხალხის ნეგატიური განწყობა აშკარაა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხალხის განწყობები დროში იცვლება.

– თქვენ ახსენეთ ხელისუფლებიდან მიმავალი პრემიერი. ამ ფონზე საპრეზიდენტო კანდიდატად შემოყვანილი მარგველაშვილი იქნება მხარდაჭერილი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ?

– 27 ოქტომბრის არჩევნები არის არა არჩევნები, არამედ დიაგნოზი ჩვენი საზოგადოების. პარადოქსი და ტრაგედია იცით რა არის?! ბიძინა ივანიშვილს მისდამი ჯერჯერობით ქართველი ხალხის ძალიან წრეგადასული ნდობისა და მოლოდინის გამო, ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც პრემიერი დაასახელებდა პრეზიდენტობის კანდიდატად, პრეზიდენტობის შანსი ექნებოდა, ისევე, როგორც მარგველაშვილს. მარგველაშვილს, როგორც პოლიტიკურ ფიგურას, საზოგადოება ასე განიხილავს. ასე რომ განიხილავდეს, ელემენტარულ კითხვებს დასვამდა: რა პოლიტიკური ფიგურაა მარგველაშვილი? სახელმწიფო რომ კრიზისულ მდგომარეობაში იყოს, პრეზიდენტს შეუძლია, რომ მართოს კრიზისული სიტუაციები? რა პოლიტიკური გუნდი უჭერს მხარს? არის თუ არა პრეზიდენტი, რომელსაც პოლიტიკური გუნდი მხარს არ უჭერს? ის, რომ ახლა ივანიშვილის ხათრით კოალიცია მხარს უჭერს, სულაც არ ნიშნავს, რომ ის პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელია. ხვალ კოალიცია არ იქნება, მაშინ მარგველაშვილის ზურგი ვინ იქნება?! ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ისევ ის ზურგი ეყოლება, ვინც იმ დროს ჰყავდა, როცა საზოგადოება მოძრაობას იწყებდა. ხალხი ამასაც არ აქცევს ყურადღებას, საიდან მოდის მარგველაშვილი, საიდან გაუჩნდა ის ინსტიტუტი და საიდან დაფინანსდა, რომელ ჯგუფში იყო. ხალხს არაფერი არ აინტერესებს, ბიძინამ უთხრა – უფროსმა უთხრა, საზოგადოებას კი კითხვების დასმა არ უნდა და ბრმად აძლევს ხმას. ეს არის კატასტროფული დიაგნოზი. ამ პირობებში, მე ისევ ვიმეორებ ჩემს მოსაზრებას, რომ 27 ოქტომბერს ჩვენი ხალხი დაასამარებს თავის ილუზიას იმიტომ, რომ ის, რასაც ის ელის, არის სრულიად გაუგებარი. ახლა არაკები შემოდის, ვინც პრემიერ-მინისტრი იქნება, ის შექმნის ფანტასტიკურ პოლიტიკურ პარტიას და ყველაფერი კარგად წავა. პოლიტიკური პარტიები ფულით არ იქმნება, პარტიებს ქმნიან მსოფლმხედველობის მქონე ადამიანები, რომელთა აზროვნებაც, მენტალიტეტიც პოლიტიკიდან ამოდის. მე სასწაულების არ მჯერა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ წესით კარგი პროცესი უნდა წავიდეს. არ არიან პოლიტიკური ბელადები და გაჩნდებიან ახალი ლიდერები. აუცილებელი კრიტიკული მასა გონიერი ადამიანებისა მოიფიქრებს, სახელმწიფომ რომ გაძლოს და თვითონაც რომ გაძლონ პოლიტიკაში, საჭიროა პოლიტიკური სისტემა აიგოს, კონსტიტუცია აიგოს და თამაშის წესები. ჩვენ არა გვაქვს კონსტიტუცია.

– საკონსტიტუციო ცვლილებების დღემდე არმიღება, კოალიციის სერიოზული შეცდომაა?

– ახალმა ხელისუფლებამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, რომ ერთი წლის თავზე არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ის მახინჯი კონსტიტუცია შეეცვალა და საკონსტიტუციო ცვლილებები ახალი განხილვებისთვის მომზადებინა. ახალი კონსტიტუცია პოლიტიკური სისტემის შექმნის საშუალებას მოგვცემდა. კოალიციამ ეს არ გააკეთა. ამდენად, ყველაფერი ისევ ჰაერშია გამოკიდებული. ახლა დგება ყველაზე რთული მომენტი: რაკი კონსტიტუცია საყრდენად ვერ გამოდგება, რადგან წინა ხელისუფლების პირობებში კონსტიტუციას ტუალეტის ქაღალდზე ნაკლები დანიშნულება ჰქონდა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ დგება იმ პოლიტიკური მთავარი მოთამაშეების გამოცდის საკითხი, რამდენად შეძლებენ კონსტიტუციურად მორყეულ სახელმწიფოში დაუბალანსებელ სახელმწიფოში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები არ მუშაობენ, შეძლებენ გააკეთონ გამრღვევი ნაბიჯი, რომ შესაძლებელი იყოს ცივილიზებული პოლიტიკური ცხოვრების წარმართვა ისე, რომ რყევები არ იყოს. რყევები დაანგრევს აღნიშნულ სისტემას, მაგრამ ჩვენ იმდენად დიდი გარე საფრთხეები გვაქვს, ჩვენ რომ ახლა გამართული სახელმწიფო ვიყოთ, მაშინ ეს არ იქნებოდა ასე საშიში. ისევე, როგორც ამერიკის ხელისუფლებაში დღეს საშინელი დაპირისპირებაა და ეს ამერიკას საფრთხეს არ უქმნის. საქართველოსთვის კი ამ მონგრეულ სისტემაში გარე საფრთხეები შეიძლება კიდევ უფრო საშიში გახდეს. ამით იხეირებს ის, ვისაც საქართველო გულზე არ ეხატება.

– თქვენ ახსენეთ ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესები ივანიშვილის კარზე. სწორედ ამ ინტერესებში ჯდება, რასაც ენერგეტიკის სამინისტროს და „ხუდონჰესის“ მშენებლობასთან მიმართებაში ვხედავთ?

– უცნაური რა არის, იცით? ჯერ ერთი, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეობის დროს, 2002 წლიდან, ჩვენ ინტენსიურად დავიწყეთ ენერგეტიკული განვითარების სტრატეგიის შემუშავება, უბრალოდ პოლიტიკურმა სიტუაციამ არ გაგვიშვა. ამის შემდეგ 2004 წლიდან მე ოლეგ ბაშარულთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად ვამუშავებდი ამ კონცეფციას. შემდეგ „ქართულ ოცნებაში“ სხვა ჯგუფთან ერთად კიდევ შევიმუშავეთ ენერგეტიკული განვითარების სხვა კონცეფცია. ეს ორი კონცეფცია ერთმანეთის შემავსებელია და კომპლექსში მოიცავს საქართველოს ენერგეტიკის მომავალი განვითარების საუკეთესო ხედვებს. მაგრამ უცნაურობა ის არის, რომ მთავრობას ენერგეტიკული კონცეფცია დამტკიცებული არ აქვს. რა სტრატეგიის ფარგლებში მოქმედებს ენერგეტიკის სამინისტრო, აბსოლუტურად უცნობია. ძალიან ინფორმირებული ადამიანი ვარ, კულუარების დონეზეც კი, ამიტომ გაუგებარია სამინისტროს პოზიცია. ხუდონჰესი არ წყვეტს საქართველოს ენერგეტიკის პრობლემას. ამ პრობლემას წყვეტს სწორი სტრატეგია, რომელიც კომპლექსშია განსახორციელებელი. შე კაი კაცო, ახალგაზრდა კაცი ხარ. მოდი, ჯერ განიხილე საჯაროდ, მიიღე კონცეფცია, მთავრობას დაამტკიცებინე, დაიკავე მინისტრმა ხელში, დაიყენე გვერდში თუ სადმე, რამე ინტელექტია ამ სფეროში ქვეყნის შიგნით და გააკეთე, რაც საჭიროა. ხუდონჰესიც ასაშენებელია და სხვა რამეც, მაგრამ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ საბჭოთა პროექტით უნდა აშენდეს ხუდონჰესი. რა უნდა აშენდეს? 200 მეტრიანი კაშხალი სვანეთის მთებში და 50 კვადრატული კილომეტრიც წყლის სარკე სვანეთში? თან რა უნდა იქნას გამოყენებული, არადაკონსერვებული, 27 წლის განმავლობაში მიგდებული ნაგებობები? აი, აქ არის სწორედ პრობლემა, როდესაც სამინისტრო იწყებს ლობირებას, იმ საქმის ლობირებას, რასაც არ უნდა ლობირებდეს. ამაზე ადვილი რა არის, მინისტრი ხარ, მოაწყვე განხილვები, მთავრობაზე გაიტანე შეჯერებული კონცეფცია, დაიკავე ხელში დამტკიცებული ვარიანტი და აკეთე.

თურქეთში მცხოვრები 10 ათასი ქართველი საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, თურქეთში მცხოვრები 10 ათასი ქართველი საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საზღვრისპირა სოფელ ჯამილში სტუმრობისას განაცხადა.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქის მინიჭების შესახებ პრეზიდენტმა ისტორიულ სოფელ ხერთვისში შეკრებილებს პირადად გადასცა.

,,ეს პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ჩვენ ყველანი უნდა დავდგეთ ერთმანეთის გვერდში. ეს პროცესი ცოტა გვიან დაიწყო, ვიდრე უნდა დაგვეწყო, მაგრამ ცხოვრება ამით არ მთავრდება, დანარჩენმა საქართველომაც ახლა გაგიცნოთ თქვენ. პრაქტიკულად არა მხოლოდ თქვენ გქონდათ დაკარგული საქართველოსთან კავშირი, არამედ დანარჩენმა საქართველომ არ იცოდა, ვინ იყავით და სად ცხოვრობდით“– აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მედიანიუსი

დიდი კაშხლების მშენებლობის აკრძალვის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართება

„გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფი“ და უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე საქართველოში დიდი კაშხლებისა და ატომური სადგურების მშენებლობის აკრძალვას ითხოვენ და საზოგადოებას ანალოგიური მოთხვნით დღეს მთავრობის კანცელარიასთან დაგეგმილ აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდებენ. აქცია 13:30 საათზეა დაგეგმილი.

როგორც „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფის“ ხელმძღვანელმა ლაშა ჩხარტიშვილმა და დიმიტრი ლორთქიფანიძემ „პრაიმ-ტაიმის „პრესკლუბში გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადეს, კანცელარიასთან დაგეგმილი აქცია შემდეგ საპროტესტო მსვლელობით ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან გაგრძელდება.

„საზოგადოება კვლავ აგრძელებს მოქმედი ხელისუფლებისაგან, მათ შორის მთავრობისა და მისი ხელმძღვანელის, პრემიერ ივანიშვილისაგან საქართველოში დიდი კაშხლებისა და ატომური სადგურების მშენებლობის აკრძალვის თაობაზე საარჩევნო პროგრამით გაცემული დაპირების შესრულებისათვის ბრძოლას“,-განაცხადეს მათ და დასძინეს, რომ თუკი პრემიერი და მისი მთავრობა, ასევე პარლამენტის უმრავლესობა მაინც დააღვევენ მას, ამ შემთხვევაში ისინი მზად არიან საქართველოში „დიდი კაშხლებისა და ატომური სადგურების მშენებლობის აკრძალვის“ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვას გაუწიონ ორგანიზება.

ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, საქართველოში დიდი კაშხლებისა და ატომური სადგურების მშენებლობის აკრძალვის საკითხზე რეფერენდუმის მოწვევასთან დაკავშირებით უკვე დაწყებულია და მომავალში უფრო აქტიურად გაგრძელდება კონსულტაციები საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი არასამთავრობო და პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერებთან, ასევე ექსპერტებთან და საზოგადოების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან.

„დიდი კაშხლების მშენებლობა დამანგრეველ შედეგებს მოუტანს მთლიანად საქართველოს მთიანეთს და მათ მომიჯნავე საქართველოს კუთხეებს. ამგვარი უმძიმესი შედეგები კი უპირველეს ყოვლისა, კლიმატის ცვლილებების შედეგი იქნება, რადგან ტენიანობის გაზრდა გამოიწვევს ისეთი ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენების გახშირებას, როგორიცაა მეწყრები, ზვავები, ღვარცოფები, რომლებიც, თავის მხრივ, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის განადგურების გარდა, მრავალი ადამიანის სიცოცხლის მოსპობის მიზეზის გახდება“,– განაცხადა ჩხარტიშვილმა.

მედიანიუსი

დავით ლორთქიფანიძე: „ბიძინა ივანიშვილი შეცდომაშია შეყვანილი“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობის ნევრ დავით ლორთქიფანიძესთან

– რა ხდება საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით და არის თუ არა უმრავლესობაში დაპირისპირება?

– დაპირისპირება ხმამაღალი ნათქვამია, არის აზრთა სხვადასხვაობა. პარლამენტარები დამოუკიდებელი არიან საკუთარ არჩევანში, აზრის გამოხატვაში შეზღუდული არ არიან. ეს კარგი პროცესია იმ გაგებით, რომ რამდენიმე დეპუტატი ვართ, რომლებიც ღიად ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას, ფრაქციის და უმრავლესობის სხდომაზე. არის განცდა დეპუტატთა ნაწილში, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში საკმარისად არ არიან რეალიზებული. საგანელიძე არის მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი. დავით საგანელიძეს ჰქონდა ასეთი მოსაზრება, რომ დეპუტატები რაც შეიძლება ნაკლებად ყოფილიყვნენ ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში. დასამალი არ არის, რომ რამდენიმე დეპუტატს ჰქონდა სურვილი, ყოფილიყო საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი. ისეთი განცდა ჰქონდათ, რომ რაც მეტად იქნებოდნენ ჩართული საარჩევნო ოლქებში, ეს მით უფრო კარგი იქნებოდა საარჩევნო შედეგისთვის. საგანელიძემ დაარწმუნა პრემიერ-მინისტრი, რომ ეს არ იქნებოდა გამართლებული, საგანელიძე ამას იმით ხსნიდა, რომ მას, როგორც ხელმძღვანელს, შეიძლება უხერხულობა შეჰქმნოდა, დეპუტატები და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელები შეიძლება დაეტუქსა, ასეთი მოპყრობა დეპუტატებთან არ გამოვიდოდა.

– კოლეგებს ინდობდა?

– ეს არ არის მყარი არგუმენტი, როცა საუბარია პოლიტიკური გუნდის მიერ წარდგენილ საპრეზიდენტო კანდიდატზე და თუ ვინმე საქმეს არ გააკეთებს და „ისაჩკავებს“, კიდეც უნდა მიუთითო და საყვედურიც უთხრა. გადაწყდა, რომ შტაბებში ახალი ადამიანები შეეყვანათ. რატომღაც ეს მექანიზმიც კარგად არ ამუშავდა, ის ადამიანები, რომლებიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში თავიდან ბოლომდე იყვნენ „ქართული ოცნების“ მხარეს და თავი გადადეს და ტყვიაზე ჰქონდათ შუბლი მიშვერილი, მაშინ ეს დიდი რისკი იყო, ტოტალიტარული ხელისუფლება ყველაფერზე იყო წამსვლელი, დღეს ამ ადამიანების გვერდზე გაწევა მოხდა და ახალი მოთამაშეების შემოყვანა. მაჟორიტარულ ოლქებში ყველა რაიონში ხომ არ მოგვიგია არჩევნები, ნაციონალებს პატიოსნად არ მოუგიათ, მაგრამ დღეს ეს ხალხი პარლამენტშია წარმოდგენილი, ეს ადამიანები ისევ ლიდერის როლში არიან ამ რაიონებში, მათი წინააღმდეგი არაფერი მაქვს, მაგრამ ვანში არჩევნების წაგება, ეს ჩემი რაიონია, დიდწილად დაკავშირებული იყო შტაბის არაკოორდინირებულ არათავდადებულ მუშაობასთან. ახლაც ის ადამიანები, ვინც მაშინ შეცდომები დაუშვეს, ისევ რჩებიან საარჩევნო შტაბში, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. მე ვიყავი პარტიული სიით გასული, მ,აგრამ დავიბადე და გავიზარდე ვანში და ვიცი, ქვა რატომ დევს, რითი სუნთქავს ეს რაიონი, ვიცოდი, რომ საპარლამენტო არჩევნებში შედეგი იქნებოდა ფატალური, ღიად ვამბობდი ამას, აქცენტები ისევ ამ ხალხზეა გაკეთებული. დღეს ზოგიერთი ჩვენი ყოფილი აქტივისტი ბურჯანაძის შტაბებშია, მაშინაც ვამბობდით, რომ ეს ხალხი არ შეიძლება იყოს ჩვენი ერთგული თანამებრძოლი. არიან ადამიანები, რომლებიც კონიუნქტურას არიან მორგებული, სადაც ნახავენ, რომ სარგებელია, იქით გადაბარგდებიან. ჩვენ ეს არ დაგვიჯერეს. ამ ბოლო დროს თითქოს შეიცვალა მიდგომა, უმრავლესობის ლიდერმა გადაწყვიტა დეპუტატების მაქსიმალური ჩართულობა, ეს იმან განაპირობა, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილთან გვქონდა შეხვედრა. ბატონ ბიძინას გაუკვირდა, როცა ჩვენ პრობლემებზე ველაპარაკეთ, მან ასე თქვა ზუსტად, როცა ვლაპარაკობ, რომ გიორგი მარგველაშვილი მოიგებს პირველივე ტურში, ვგულისხმობ დეპუტატების მაქსიმალურ ჩართულობასო.

– ადრეც იყო საუბრები და უკმაყოფილო ადამიანები, რომლებიც თბილისში ჩამოდიოდნენ და ივანიშვილთან შეხვედრას ცდილობდნენ, რომ საგანელიძის მუშაობის შესახებ მასთან ესაუბრათ, მაგრამ ჩანდა, რომ ივანიშვილი საგანელიძეს ხელს აფარებდა.

– მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი დავამთავრე, სახელმწიფო სამსახურში ვარ, პოლიტიკაში ვარ და მე მესმის, რომ ადამიანი, რომელიც თავის გუნდელად მოიაზრებს ვინმეს, მაქსიმალურად გვერდით ჰყავდეს. საგანელიძე ამბობდა, რომ ოთხი დეპუტატი ვიყავით, ვინც მის პოზიციებს არ იზიარებდა.

– ვინ იყო ეს ოთხი დეპუტატი?

– ვის გულისხმობდა არ ვიცი, ერთს რომ მე მგულისხმობდა, ეს ნამდვილად ვიცი. როცა ბატონი ბიძინა შეხვდა მედიას, იქ თქვა, რომ უმრავლესობაში არის ორი დეპუტატი, რომელიც ცდილობს სიტუაციის აყირავებასო. ამ ორ დეპუტატში ერთი მე ვიგულისხმებოდი. ბევრი ჟურნალისტი ჩემთან მოვიდა და მეკითხებოდნენ ამაზე, ეს შემთხვევით არ ხდება. ვფიქრობ, რომ ბატონი ბიძინა შეცდომაში შეიყვანეს, მე არ ვეფერები ბიძინა ივანიშვილს, ჩემი პოზიცია მაქვს, მინდა, რომ სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, ასე მიცხოვრია მუდამ. მე არ ვიცნობ უმრავლესობაში დეპუტატს, რომელიც ვითარების აყირავებას ცდილობდეს. მით უმეტეს, თავად მეც არ ვარ ასეთი, მავანთ ხელს აძლევს, რომ ჩვენ ასეთი იარლიყი მოგვაწებონ.

– როცა გვარებს არ ასახელებთ, ინტრიგა ჩნდება და გაურკვევლი და ბუნდოვანია ყველაფერი. იქნებ დაასახელოთ გვარები, ვინ არიან ესენი?

– მესმის, მე ხომ გითხარით, რომ უთანხმოებაა ჩვენსა და საგანელიძეს შორის. მე არ ვიცი, ვინ უთხრა ივანიშვილს, რომ ორი ადამიანი სიტუაციის აყირავებას ცდილობდა. მე ეს უხერხულობას არ მიქმნის, ის უნდა ვთქვა, რაც ჩემს გუნდში არის, თავისუფალი ადამიანები ვართ და საკუთარი აზრი გვაქვს. ჩვენს გუნდში არ არიან ადამიანები, რომლებიც რაიმის აყირავებას ცდილობენ, ჩვენ გვინდა, რომ ყველაფერი გამჭვირვალე იყოს. მე არ ვამბობ, რომ საგანელიძე ისეთი ადამიანია, რომელიც დეპუტატებს შეურაცხყოფას აყენებს, არ არის ის ასეთი ადამიანი, მაგრამ ჩვენ გვიხმეს და გვითხრეს, რომ მიემაგრებით რამდენიმე რაიონსო, ჩემთვის ეს გასაგები არ არის, ლენტეხში, ცაგერში, ლანჩხუთსა და ვანში ვარ, ანალოგიურად სხვა დეპუტატები სამ-ოთხ რაიონზე არიან მიმაგრებული. ეს არა მგონია, რომ სწორი ფორმაა.

– ერთხელ ივანიშვილმა დატუქსა საგანელიძე, ილია ჭავჭავაძე ხომ არ ხარ, რომ ყველაფერი იცოდეო. თუ გახსოვთ, როდის უთხრა ეს?

– ეს იყო ორი თვის წინ, ეს ინფორმაცია გამოვიდა. დარწმუნებით ამას ვერ გეტყვით, ურეკში პოლიტსაბჭოს სხდომაზე, საგანელიძეს გამოუთქვამს უკმაყოფილება, რომ მისი ფიტული დაწვეს მარტვილში, ამაზე მის კოლეგებს რეაგირება არ ჰქონიათ. მე არ ვიცი, რატომ არ ამოიღეს ხმა, ივანიშვილს კი უთქვამს მისთვის, რომელი ილია შენ ხარ, რომ დაგიცვანო.

– გამოდის, რომ საგანელიძეს პრობლემები აქვს დეპუტატებთანაც და რაიონებში აქტივისტებთანაც?

– დათო ამას სხვაგვარად უყურებს. მას მიაჩნია, რომ პრობლემები აქვს იმ ადამიანებთან, რომლებიც შემოგზავნილები არიან, არა აქვთ ავტორიტეტი, საჯაროდაც ვამბობთ და მასაც პირისპირ ვუთხარით, დეპუტატია თამაზ მეჭიაური, ომარ ნიშნიანიძე, ლერი ხაბელოვი, მურმან დუმბაძე, ამ საკითხებთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია გვაქვს. ხდება ცბიერი ფორმით დეპუტატების გაწევა მათ მხარდამჭერებთან ერთად და ამ გუნდს სხვა დაეპატრონება. შეიძლება ასეთი ადამიანი უკვე გამოჩნდა კიდეც. 2012 წლის აპრილში, როცა სააკაშვილი ყველაზე მეტად იყო გავეშებული, დავტოვე პარლამენტის ფრაქციის აპარატის უფროსის თანამდებობა და გვერდით დავუდექი ბატონ ივანიშვილს. რომ არა ბატონი ბიძინა, ამ მონსტრის დამარცხება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ მოკრძალებული წვლილი ჩვენც გვაქვს ამაში მიღებული. ადგილებზე ისევ ნაციონალები არიან. ნაციონალების მაჟორიტარი ვანში არის კრიმინალი პაატა ლეჟავა, თავის ოფისში მიიყვანა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ზონდერებთან ერთად, საშინლად სცემა, ეს იყო ზურაბ ადეიშვილის მოლარე.

– საგანელიძეზე, ჩაფიძეზე, არმაზ ახვლედიანზე, ირინა იმერლიშვილზე, ზაქარია ქუცნაშვილზე გამოქვეყნებული ინფორმაციები ნამდვილად მოითხოვს სასწრაფო რეაგირებას, ეს უბრალო საქმე არ არის. უნდა გაირკვეს, თუ ეს გაყალბებულია და ხელმოწერებიც ყალბია, პასუხი უნდა აგოს ცილისმწამებელმა, მაგრამ თუ ეს სიმართლეა, მაშინ „ქართულ ოცნებას“ გამოდის, რომ ძალიან ცუდად აქვს საქმე. თქვენ რას ფიქრობთ ამ ვითარებაზე?

– ამის გარდა რომ არის დოკუმენტები, არის ვიდეო გადაღებაცო ამბობს ელისო კილაძე. არ მინდა, რომ ჩემს კოლეგებს ძალიან ცუდი ჩრდილი მიადგეთ, ეს თემა ძალიან საჩოთიროა. ყველგან, სადაც დავდივარ, ადამიანები მეკითხებიან, ამაზე რატომ არ არის რეაგირება, რატომ არ ჩიივან დეპუტატებიო. ქალბატონმა ელისომ, თუ აქვს ეს მასალები, სრულყოფილად უნდა გამოაქვეყნოს ვიდეო მასალებიც, ამაზე უნდა დაიწყოს გამოძიება. მე არ გამოვრიცხავ, დავაყენო საკითხი პარლამენტში, შეიქმნას საგამოძიებო კომისია პარლამენტში, ეს საკითხი რომ გამოიძიოს, გაირკვეს, რასთან გვაქვს საქმე. როცა საჯარო პირია, მისი იმიჯი კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დარჩეს. როცა ქალბატონი ელისო აცხადებს, რომ კიდევ ბევრია ოცნებაში ასეთი ადამიანი, მაშინ ეს კარგ ტონად არ მიმაჩნია, რომ წვეთ-წვეთად მიეწოდებოდეს საზოგადოებას. თუ არსებობს ვიდეომასალებიც, ეს უნდა ვიცოდეთ და რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს გამოძიება, რომ გავარკვიოთ ამ მასალების ავთენტურობა. არ არის რთული ხელმოწერების გაყალბება.

– არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწროთ, მაგრამ დარტყმის ქვეშ არის მთელი საპარლამენტო უმრავლესობის იმიჯი, თუ ეს დადასტურდება, გამოდის, რომ აგენტებით არის სავსე უმრავლესობა.

– მე მგონია, შანტაჟია, როცა საუბრობენ იმაზე, რომ აქვთ ადამიანებზე რაღაცა და ამას ნელ-ნელა გამოაქვეყნებენ, რას ნიშნავს ეს, თუ კარგად მოექცევი, მაშინ ამ მასალებს აღარ გამოაქვეყნებენ? ოცი წელია მე ვიცნობ ელისო კილაძეს, დათო საგანელიძე რომ არ იცნობს მას როგორც ჟურნალისტს ეს არაფერს ნიშნავს, ეს ადამიანი სადღაციდან არ ჩამოვარდნილა, ის მუშაობდა და ინტერვიუებს წერდა, ამას ვხედავდი, სამოქალაქო ომის დროს ელისო კილაძე ინტერვიუებს იწერდა. ეს მასალები, რაც მოიპოვა კილაძემ, უნდა გასაჯაროვდეს.

– ბიძინა ივანიშვილი ელისო კილაძემ გააბრაზა, მან მაშინვე უარყო მისი თანაგუნდელების რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მონაწილეობა. არ შეიტანა ეჭვი მისი გუნდელების კეთილსინდისიერებაში. ეს ივანიშვილის ნაკლია თუ დადებითი თვისება?

– ეს ნიშნავს იმას, რომ ბატონი ბიძინა დადებითი ადამიანია, ის ენდობა მის მომხრეებს.

– გასაგებია, მაგრამ როცა მოსახლეობა გამწარებულია, გუბაზ სანიკიძეს კარს უჭედავენ, რუსთავიდან ჩამოდიან, რომ შეხვდნენ ივანიშვილს და შესჩივლონ ძიძიგურზე, ან როცა მიანიშნებენ გუჯაბიძეზე, რომ ადიგენში კარგად საქმე არ არის, ამაზე რეაგირება უნდა მოხდეს და დაინტერესდეს პრემიერი, რა ხდება, ასე არ არის?

– როცა კარს მომდგარია საპრეზიდენტო არჩევნები, ეს პრეტენზიები გამოჩნდება საარჩევნო ურნასთან.

– საარჩევნო ურნასთან მისვლამდე უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები, თორემ მერე გვიან იქნება.

– მე ვიზიარებ თქვენს პოზიციას.

– თბილისში მყოფ ჟურნალისტებს სააკაშვილმა საშუალება მოგვისპო, რომ კონტაქტი პირდაპირ დაგვემყარებინა დეპუტატებთან, ქუთაისში ვერ ჩამოვდივართ, არადა ბევრი კითხვა დაგვიგროვდა როგორც ოპოზიციასთან, ისე უმრავლესობასთან.

– ჩვენც იზოლირებული ვართ. წარმოუდგენელი ამბავია, მინისტრებთან, ჟურნალისტებთან გვაკლია კომუნიკაცია. არის პრობლემები, რომელსაც ვერ აგვარებ ტელეფონით. ზედავანია ერთი სოფელი, მერაბიშვილი ადრე ჩაიყვანეს იქ და შექმნეს ისეთი წარმოდგენა, რომ სკოლის აშენებას იწყებდნენ, სკოლა მათ არ აუშენებიათ, არადა სოფელი სკოლის გარეშეა. ახლა შევხვდი განათლების მინისტრს, თბილისში საგანგებოდ ჩამოვედი, რომ იქ სკოლის მშენებლობა დაიწყოს.

– კანონშემოქმედებითი საქმიანობა ბუსუსებიან პრეზერვატივებსა და ეროვნული სამოსით დეპუტატების პარლამენტში სეირნობას არ გასცდა. ძიძიგურს შეუძლია გაერთოს შინაურებში ამ თემით, მაგრამ ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანი თემებია და ის რჩება ყურადღების გარეშე.

– ასეთ შენიშვნებს არ გავქცევივარ, ეს უფრო ხელისუფლებაში მოსვლის ეიფორიით იყო გამოწვეული. ეს მაშინვე გაქრა დღის წესრიგიდან და აღარავის გახსენებია.

– იმიტომ, რომ მთელი საქართველო დასცინოდა საპარლამენტო უმრავლესობას და ოპოზიციას, რომ ამ თემებით უფრო ინტერესდებოდნენ.

– ეროვნული სამოსით მოსვლაში ტრაგედიას ვერ ვხედავ.

– ჩამოვა პარლამენტი თბილისში?

– მე ვხედავ ამის მზაობას თვით ნაცმოძრაობის წევრებისგანაც, პირად საუბრებშიც მეუბნებიან ამაზე, არა ლიდერები, რომლებიც აღიზიანებენ საზოგადოებას.

– უკაცრავად, მაგრამ დარჩნენ კი დეპუტატები ნაცმოძრაობაში, რომლებიც არ აღიზიანებენ საზოგადოებას?

– არიან ასეთები, რომლებსაც საზოგადოება არ იცნობს, პულტზე ხელს აჭერდნენ წინა პარლამენტშიც და ახლანდელშიც. მე არ ვარ ამ კოჰაბიტაციაში არავისთან. ისინი მეუბნებიან, რომ თბილისში დაბრუნებაზე მხარს დაგვიჭერენ. კენჭისყრაზე კი ამას ვერ ბედავენ, ეტყობა, აქვთ შანტაჟისთვის საბაბი. ასლები აქვთ გადაღებული აუდიოფირებისა, ამით ვინმეს შეუძლია ისარგებლოს. სოციალურ ქსელში გამოფენენ ამ მასალებს. ერთადერთი დეპუტატი ვარ, რომელიც მიემხრო წამების ამსახველი აუდიოჩანაწერების გატანას ეთერში, ოღონდ შესაბამისი კანონის დაცვით, რომ ვიცოდეთ, რა სისტემა იყო, რომელიც ნაცმოძრაობამ შექმნა. ოცნებას მთავარი დაპირება არ აუსრულებია ამომრჩევლისთვის, არ დაუპატიმრებია დამნაშავენი, ვინც ამ სისტემის შემოქმედნი იყვნენ. გამოვიდეს ახლა ნაცმოძრაობა და თქვას, ოცნებას ეს დაპირება არ შეუსრულებია და ოცნება არ მუშაობსო. ეს ჩვენი მთავარი შედომაა. იმერლებს აქვთ კარგი სიტყვა უტუხი, ეს უტუხი ადამიანები უტიფრად გიყურებენ და ისე იქცევიან, თითქოს არაფერი დაუშავებიათ.

ლევან ვეფხვაძე: „კაცი ჯერ პრეზიდენტი არ გამხდარა და უკვე იმუქრება“

„ქართული ოცნების“ მომხრეებს ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა იმედი გაუცრუა“, – განაცხადა „პირველი რადიოს“ რადიოკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრმა, ლევან ვეფხვაძემ განაცხადა. მისი აზრით, გუშინ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გამართულ საპრეზიდენტო კანდიდატების დებატებში, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი როგორც თემატურად ასევე შინაარსობრივად ძალიან სუსტად გამოიყურებოდა. „რაც შეეხება გიორგი თარგამაძეს, არა მარტო ჩემი, არამედ ექსპერტთა გარკვეული ნაწილის შეფასებით, გუშინდელ დებატებში გიორგი თარგამაძე აბსოლუტურად გამორჩეული იყო, როგორც შინაარსობრივად, ასევე ემოციურად რამაც გამოიწვია სწორედ ბატონი გიორგი მარგველაშვილის მწყობრიდან გამოსვლა. მწყობრიდან გამოსულმა პრეზიდენტობის კანდიდატმა თავის ოპონენტს მიმართა სიტყვებით -„მოისვენე, თორემ მოგასვენებენ“. არ ვიციეს სიტყვები რას ნიშნავდა და რა ტიპის მოსვენებაზე საუბრობდა ბატონი მარგველაშვილი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არის ან ძველბიჭობა და ძველი ბიჭი პრეზიდენტი ჩვენ ნამდვილად არ გვჭირდება, ან ეს არის პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ანგარიშწორების მუქარა. კაცი ჯერ პრეზიდენტი არ გამხდარა და უკვე იმუქრება“, – განაცხადა ვეფხვაძემ და დასძინა, რომ საქართველოს არ სჭირდება პრეზიდენტი, რომელიც ან ძველბიჭობს ან ემუქრება პოლიტიკურ ოპონენტებს.

ლევან ვეფხვაძის თქმით, მარგველაშვილმა საკადრისი პასუხი იქვე მიიღო, მაგრამ, სამწუხაროდ, მიკროფონში პასუხი არ ისმოდა. „იმედი მაქვს ქართველი ერი, საქართველოს მოსახლეობა 27 ოქტომბერს მას ამ თავხედობისთვის აბსოლუტურად საკადრის პასუხს გასცემს“– დასძინა ვეფხვაძემ

მედიანიუსი

ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების 38-ე შეხვედრა გაიმართა

ერგნეთში გუშინ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის 38-ე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ქარელისა და გორის რაიონის სოფელ დვანსა და აძვში მავთულხლართებისა და ღობეების უკანონო მონტაჟის პროცესი მკაცრად გააპროტესტა და ამ უკანასკნელით ადგილობრივი მოსახლეობისთვის შექმნილ პრობლემებზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავებაზე, გადაადგილების თავისუფლებასა და ადამიანის უფლებების დარღვევებზე ისაუბრა.

შეხვედრაზე, ასევე, საუბარი ოკუპირებული ცხინვალის ციხეში უკანონოდ მყოფი საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობასა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში უგზოუკვლოდ დაკარგულ პირებს შეეხო. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მორიგი შეხვედრა 15 ნოემბერს გაიმართება.

ნიუსპრესი

თავდაცვის სამინისტრო ჯარისკაცების მიერ სამედიცინო ნაწილისთვის მიმართვის ფაქტს აღასტურებს

ინფორმაციას, რომ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე პირველი ქვეითი ბრიგადის ახალწვეულების 60-მდე ჯარისკაცი მოიწამლა, „ნიუსპრესთან“ საუბარში თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური არ ადასტურებს, თუმცა აცხადებს, რომ სამედიცინო ნაწილს გარკვეული ჩივილებით, რამდენიმე ჯარისკაცმა ნამდვილად მიმართა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სამინისტრო დღეს ოფიციალური განცხადების გაკეთებას გეგმავს.

„ფაქტს არ ვადასტურებთ, სისხლის სამართლის საქმეც კი არ არის აღძრული. დღეს ოფიციალური განცხადება გავრცელდება და ყველა სათანადო სტრუქტურის ხელმძღვანელი, ვისაც ეს თემა ეხება, კომენტარს გააკეთებს. კომენტარს გააკეთებს ასევე სამედიცინო ნაწილი და ქართული კვების კომპანია.

უწყება დღესვე განმარტავს პროცედურებსაც თუ რატომ ტყდება ასეთი პანიკა. ეს ყველაფერი უკვე ისტერიას ემსგავსება.

ნამდვილად იყო სამედიცინო დანაყოფისადმი მიმართვა, რომ რამდენიმე ადამიანს მუცლის ტკივილის ჩივილები ჰქონდა. ანალიზის და დაკვირვების შედეგად კი დადგინდა, რომ მათ არაფერი არ სჭირთ“-განაცხადეს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში.

ნიუსპრესი

ნინო ბურჯანაძე: — „აჭარლებს, უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ სახელმწიფო მათზე ზრუნავს“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, გუშინ, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, აჭარას ესტუმრა. მან ამომრჩევლებთან შეხვედრა ხულოში გამართა, სადაც განაცხადა, რომ მართალია მაღალმთიან აჭარაში მართლაც მდიდარი და არაჩვეულებრივი ბუნებაა, მაგრამ მოსახლეობისთვის ეს საკმარისი არ არის.

„აქ მთავარი პრობლემაა უგზოობა, სასმელი წყლის პრობლემა და სოციალური გაჭირვებაა. ადამიანებს ძალიან კარგად ესმით, რომ ყველა პრობლემას ერთბაშად ვერ მოვაგვარებთ, მაგრამ როდესაც ისინი დაინახავენ, რომ ქვეყანა სწორი გზით სიარულს და სწორი პოლიტიკის გატარებას იწყებს, მიხვდებიან, რომ ეს მათი ცხოვრების პირობებზეც აისახება.

ეს ხალხი თავს ღირსეულად უნდა გრძნობდეს, ეს ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ და არა არსებობდნენ. თავის დროზე მხარს ვუჭერდი და ვიბრძოდი, რომ მთის კანონი ამოქმედებულიყო, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. მე დღეს შევპირდი ხულოს მოსახლეობას, რომ მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონი აუცილებლად უნდა იქნას მიღებული და უნდა იქნას გადადგმული ნაბიჯები იმისათვის, რომ ჩვენ გავამაგროთ ის ადამიანები, ვინც ქვეყნის საზღვრების ბუნებრივი დამცველები არიან. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ აჭარლებს, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხის მაცხოვრებლებს, ჰქონდეთ იმის განცდა, რომ სახელმწიფო მათ პატრონობს და მათზე ზრუნავს“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

ჰამლეტ ჭიპაშვილი: „აჭარის მოსახლეობა თურქეთის გავლენის ქვეშაა“

როგორ აპირებს თურქეთი დიდი ოსმალეთის აღდგენას

შორენა გონგლაძე

ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან

— ბატონო ჰამლეტ, სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ ე.წ. თურქ ქართველებს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, რას ემსახურება ეს კეთილშობილური ჟესტი, უცხოელების ნაკლებობას განიცდის საქართველო თუ ეს კიდევ ერთი ნაბიჯია უცხოური ინვესტიციების და ტურიზმის განსავითარებლად?

— ის რასაც სააკაშვილი აკეთებს, ეს არის ქვეყნისათვის დიდი ვნების მიყენება, თუმცა არა მგონია, რომ ის ამ ქვეყანას თავის სამშობლოდ თვლიდეს, მისი სამშობლო არის ამერიკის შეერთებული შტატები. რაც შეეხება ამ თემას, ეს არის ძალიან სერიოზული საკითხი. სააკაშვილმა სულ რაღაც ერთი თვის წინ, დაახლოებით ათას კაცამდე თურქს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. საქმე ისაა, რომ თურქეთი ამ ბოლო დროს ძალიან მოძლიერდა საქართველოში, ასევე დიდია მისი გავლენა აზერბაიჯანზე, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე და ასე შემდეგ. ეს არის თურქეთის დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა — რბილი ისლამი. სულ ერთი კვირის წინ, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა შეიტანა კანონში ცვლილება, რომლის მიხედვითაც თურქ ქალებს, რომელთაც სახელმწიფო დაწესებულებებში აკრძალული ჰქონდათ თავსაბურავის ტარება, ეს კანონი გააუქმა. ათათურქმა, მაგალითად, ძალიან საერო კანონები გაატარა, რომლის მიხედვითაც აიკრძალა ყოველგვარი თავსაბურველი ქალებისათვის და ასე შემდეგ, ის ძალიან პროგრესული ადამიანი იყო. მოვიდა სამართლიანობის პარტია, რომელსაც ერდოღანი ხელმძღვანელობს და ხდება ათათურქის რეფორმების წინააღმდეგ გალაშქრება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ქვეყანა ნელ-ნელა მიემართება ისლამიზაციისკენ. ჩვენ ცოტა სხვანაირად ვუყურებთ თურქეთში მიმდინარე პროცესებს, ვინაიდან ეს ჩვენთვის გაუგებარია, რადგან ამ თემებზე ძალიან ცოტა თუ მუშაობს. როგორც ვიცით, სააკაშვილს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვს თურქეთთან. როგორ მან თქვა, თურქები ჩვენი ისტორიული მეგობრები არიანო. თურქები ცდილობენ თავისი იმპერიის აღდგენას ეკონომიკური გავლენით და ასე შემდეგ. მოგეხსენებათ, დღეს ძალიან ცოტა ისვრის თოფს, ყველა ეკონომიკური ბერკეტებით ცდილობს თავს მოახვიოს თავისი იდეოლოგია ქვეყნებს. შორს წასვლა არ დაგვჭირდება და მაგალითისთვის ავიღოთ აჭარა. აჭარაში ისინი შემოვიდნენ ნელ-ნელა, დღეს ფაქტიურად აჭარის მოსახლეობა არის თურქეთის ძალიან სერიოზული გავლენის ქვეშ, ეს არის ბიზნესი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თურქული ენა, შენდება მეჩეთი. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ თურქული ფულით შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციები და ისინი ახერხებენ ხელმოკლე ოჯახებიდან ბავშვების სწავლა-განათლების უზრუნველყოფას თურქეთში რელიგიურ სასწავლებლებში, ის უკან დაბრუნებული ახალგაზრდები რა პროპაგანდასაც გასწევენ, ეს გასაგებია. აქ რელიგიაზე აღარ არის ლაპარაკი, აქ ლაპარაკია უკვე პოლიტიკაზე. თურქეთის დღევანდელი ხელისუფლება დღეს უკვე აკეთებს იმას, რაც მან ვერ მოახერხა მაშინ, როდესაც მან დაკარგა ბათუმის ოლქი რუსეთთან ომის დროს. ამ ყველაფრის დაბრუნება ხდება ეკონომიკის თვალსაზრისით. ახლა ის, თუ რას ნიშნავს სააკაშვილის ქმედება. ის თურქი ქართველი, ვინც მიიღებს მოქალაქეობას, საქართველოს პასპორტით მას შეეძლება მიწის ყიდვა, საქმის წამოწყება და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი გამოიწვევს იმას, რომ ნელ-ნელა მოხდება მთელი საქართველოს თურქიზაცია.

— ანუ ეს საქართველოს ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკაა?

— ასე გამოდის. რასაც სააკაშვილი აკეთებს, ეს არის დანაშაული. სამწუხაროდ, ამას არავინ აქცევს ყურადღებას. საქართველოში მეჩეთის აშენებით რელიგიური ძეგლი კი არა, პოლიტიკური ძეგლი შენდება და ამას ვერ ხვდება ეს ყრუ ქართველობა. რელიგიით თურქეთი ცდილობს დაიმონოს საქართველო. ამ შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან არანაირი ყურადღება არ ექცევა ამ საკითხს, ინტელიგენცია საერთოდ გაჩუმებულია თუ ამას ინტელიგენცია ჰქვია. ვერ ხვდებიან იმას, რომ თურქეთში ქართული კულტურის ძეგლის აღდგენა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაკავშირებული აჭარაში მეჩეთის აშენებასთან. ასე რომ, გავლენა ძალიან დიდია. გაიარეთ მარჯანიშვილზე და ნახეთ, ვის ხელშია ეს პროსპექტი. ახლა გამოჩნდა ეს მთლად ფრთაშესხმული ანგელოზი ივანიშვილის სახით, რომელმაც შეკრიბა მუსლიმანები და აღუთქვა, რომ მეჩეთიც აშენდება და ამ მშენებლობაში თვითონაც მიიღებს მონაწილეობას. ჯერ ერთი, ეს ისეთი საკითხებია, რომელიც უნდა გადაწყვიტოს აჭარის მოსახლეობამ და საქართველოს მოსახლეობამ. ეს არ არის ვიღაც ივანიშვილის გადასაწყვეტი. ეს არ არის რელიგია, ეს პოლიტიკაა ასეთი, მაგრამ ივანიშვილი, სამწუხაროდ, ამას ასი წელი ვერ გაიგებს.

— გამოდის, რომ ივანიშვილი და მისი ხელისუფლება წინამორბედის დაწყებულ საქმეს აგრძელებს?

— ასე გამოდის. ივანიშვილმა თურქეთში ვიზიტის შემდეგ პირდაპირ დაგვაჯახა, ჩვენ ტოლერანტები ვართ და მეჩეთი უნდა ავაშენოთო და ასრულებს კიდეც. სადავო ეკლესიების დაბრუნებას შეპირდა ასევე სომხებსაც. ივანიშვილი ისეთივე პოლიტიკოსია, როგორც ახლა მე ვარ ჩინეთის მმართველი. ეს კაცი პოლიტიკის გაგებაში არ არის, ამას ჰგონია, ყველას რომ თავზე ხელს გადაუსვამს, ამით საქმე გაკეთდება. თურქეთი არ არის ისეთი ქვეყანა, როგორიც ივანიშვილს ჰგონია, ეს ყველაფერი ძალიან მძიმედ დასრულდება ქვეყნისთვის.

— კიდევ რა საფრთხეები ახლავს ამგვარ უკონტროლობას, რა პრობლემის წინაშე შეიძლება კიდევ აღმოვჩნდეთ?

— საქართველოს ტერიტორია ქცეულია ექსტრემისტული მუსლიმანების თავშეყრის ადგილად. მე მხედველობაში მაქვს ალქაიდას წარმომადგენლები და ასე შემდეგ. ეს ის ხალხია, რომლებიც, როგორც ამბობენ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში აქ გადიოდნენ მომზადებას და აქედან ხდებოდა შეღწევა რუსეთის ტერიტორიაზე. ამჯერად აქედან მიდიან სირიის ტერიტორიაზე ბაშარ-ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. არის ასეთი მკვლევარი ჯაპრასი, ამ პიროვნებას თავის წიგნში დაწერილი აქვს, რომ საქართველოში 2000-2010 წლებში და მის შემდეგ, მიმდინარეობდა ასეთი ექსტრემისტული ისლამის წარმომადგენლების არაერთი შეკრება, ამ შეკრების ორგანიზატორი იყო საქართველოს ელჩი კუვეიტში, ქალბატონი მიქაძე, რომელიც არის ვიღაც არაბის ცოლი. ის თავის დროზე ელჩად აკურთხა საქართველოსთვის საყვარელმა სალომე ზურაბიშვილმა. ეს მიქაძე და ვიღაც ლორქიფანიძე უწევდა ამ ხალხის ჩამოყვანას ორგანიზებას საქართველოში. ამ ლორთქიფანიძეს უჩა ნანუაშვილმა დაადო ხელი ლაფანყურის ოპერაციის დროს. საზღვრების ასეთმა უკონტროლობამ, როგორც ვხედავთ, მძიმე შედეგები გამოიწვია. საქართველოში ვითომ ირანიდან შემოდის ხალხი, მაგრამ ისინი არიან ირანის წინააღმდეგ მიმართულნი, ისინი აფუძნებენ რელიგიურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისინი ირანელები კი არიან, მაგრამ მუშაობენ ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ნარკოტიკები შემოდის, გადის და რომ დიდი ჟივილ-ხივილია ამ სატრანზიტო მარშრუტზე, ესეც ცნობილი ფაქტია. ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით, არ ვიცით, რას აპირებს ოცნება მასთან დაკავშირებით. როგორც ვატყობ, არაფერსაც არ აპირებს. ოცნება და ნაციონალები ფაქტიურად ჩაეხუტნენ ერთმანეთს, თუმცა საჯაროდ ერთმანეთს კი აგინებენ, მაგრამ რაღაც კავშირები მათ შორის არსებობს. ოცნება ცდილობს, რომ არ დააზარალოს ნაციონალური მოძრაობა, რაც ამერიკული რჩევაა და ეს ორი პარტია „შესანიშნავად“ გააგრძელებს ამ ქვეყნის ძიძგვნას წლების მანძილზე. ვფიქრობდი, რომ ოცნება ამ საკითხებს ძალიან სერიოზულ ყურადღებას მიაქცევდა, პირიქით, რასაც აქცევენ ყურადღებას ის არის, რომ ივანიშვილი აპირებს მეჩეთის აშენება-დაფინანსებას. მე არ ვარ ამის წინააღმდეგი, მაგრამ რისთვის არის ეს ყველაფერი საჭირო? სამწუხაროდ, ეს მეჩეთი არის არის რელიგიური, ამას აქვს პოლიტიკური დატვირთვა, ეს არის გავლენის ადგილი. არის ასეთი პიროვნება ფეთხულა გულანი, რომელიც მოღვაწეობს ამერიკაში და ის არის ერდოღანის მრჩეველი, მის ნაშრომებს თუ გაეცნობით, იქ პირდაპირ წერია, რომ „ჩვენ პატარა ნოხით და ლოცვით უნდა მივაღწიოთ ჩვენი გავლენის აღდგენას“ და ამის შემდეგ ჩამოთვლილია ქვეყნები ბალკანეთიდან დაწყებული, კავკასია და ასე შემდეგ, ანუ დიდი ოსმალეთის აღდგენა. ასე რომ, ეს არის ძალიან სერიოზული საკითხები, მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას.

ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიცია მზადაა არჩევნების მიმდინარეობისას ნებისმიერი ექსცესი აღმოფხვრას“

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ცესკო-ს თავმჯდომარეს თამარ ჟვანიას შეხვდა. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე არჩევნების მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა პოლიციის მზადყოფნა არჩევნების მიმდინარეობისას ყოველგვარი ექსცესი აღმოფხვრას და ამ მიმართულებით გატარებულ პრევენციულ ღონისძიებებზე ისაუბრა.

ნიუსპრესი

შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ქუთაისში რეგიონალური ონკოლოგიური ცენტრის ეზოში, 1963 წელს დაბადებული იასონ ჯ. და ამავე ცენტრის ექიმი 1959 წელს დაბადებული დავით ა. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დავით ა-ს პირადი ჩხრეკისას 5 ამპულა, ხოლო იასონ ჯ-ს ჩხრეკისას 7 ამპულა მორფინი აღმოუჩინეს. ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დავით ა-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის, ხოლო იასონ ჯ-ს ჰიდროკანაბინოლის ჯგუფის ნარკოტიკის მოხმარება დაუდგინა. გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე სსსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე პოლიციამ ორი პირი დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პროსტიტუციის ადგილის გადაცემის ბრალდებით, თბილისში, ქერჩის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო ,,შემოიხედე“-ს ადმინისტრატორები — 1972 წელს დაბადებული ირინე ბ. და 1970 წელს დაბადებული ფატმან ნ. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ფართს უთმობდნენ. სამართალდამცველებმა სასტუმროში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ფაქტზე სსსკ-ს 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

შსს-მ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკები გაანადგურა

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, 2 კილოგრამამდე ჰეროინი, 800 აბი „სუბუტექსი“, 10 გრამი კოკაინი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარიხუანა, დეზომორფინი და სხვა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები შესაბამისი წესების დაცვით განადგურდა. პროცესს შსს-ს თანამშრომლებთან ერთად ჯანდაცვის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

სამართალდამცველები ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებს სასამართლოს შესაბამისი განაჩენის შემდეგ, სამ თვეში ერთხელ ანადგურებენ.

ნიუსპრესი

კახა კანდელაკი: „ჯაზფესტივალი უკვე „პონტია“

ეკა ირემაშვილი

28 ოქტომბრიდან პირველი ნოემბრის ჩათვლით დიდ საკონცერტო დარბაზში თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალი გაიმართება. კომპანია „ისთერნპრომოუშენი“ ჯაზის მოყვარულებს წელსაც არაერთ სიურპრიზს ჰპირდება.

წლევანდელ ჯაზფესტივალს 28 ოქტომბერს მარკუს მილერი გახსნის სრულიად ახალი პროექტით „რენესანსით“, რომელსაც 29 ოქტომბერს უკვე ახალგაზრდა ბასისტი ავიშაი კოენი გააგრძელებს. 30 ოქტომბერს ფესტივალის ეგიდით თბილისში დიჯეი ლოჯიკი გამართავს კონცერტს, ღონისძიებების კულმინაცია კი პირველ ნოემბერს გამართული კლასიკური პოპის ვარსკლავის ნატალი კოლის კონცერტი იქნება.

როგორც კომპანია „ისთერნპრომოუშენის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი კახა კანდელაკი „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, ჯაზფესტივალზე დამსწრე საზოგადოება არაერთი სიურპრიზის მოწმე გახდება. დაგეგმილია ტრადიციული ჯემსეიშენები, სადაც ქართველი ხელოვანებიც ჩაერთვებიან.

რით არის გამორჩეული წლევანდელი თბილისის ჯაზფესტივალი, რა სიახლეებს უნდა ველოდოთ კომპანია „ისთერნპრომოუშენისგან“, რა პრინციპით არჩევენ მონაწილეებს ჯაზფესტივალის ორგანიზატორები და დადიან თუ არა ფესტივალზე პეროიანები, ამ თემებზე კახა კანდელაკი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

კახა კანდელაკი:

– წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, ჩვენი ჯაზფესტივალი საინტერესო და ახალი პროექტებით არის დატვირთული. თბილისში ჩამოდის მარკუს მილერი, ახალი პროექტი აქვს, „რენესანსი“, განახლებული ჯგუფი ჰყავს და სრულიად ახალი პროგრამა მოაქვს. მსოფლიო ტური აქვს დაწყებული და მასში თბილისიც ჩაჯდა. ფესტივალის მეორე სტუმარია ავიშაი კოენი, რომელიც არის ბასისტი, ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი წამყვანი მუსიკოსი. მას მოაქვს ასეთი პროექტი – „ავიშაი კოენ ენდ სტრინგს“, სტრინგი არის სიმები. კოენს ჩამოჰყავს ჯაზტრიო და პლუს სიმებიანი კამერული პატარა ორკესტრი ვიოლინოებითა და ჩელოებით. ეს არის კლასიკური მუსიკის და ჯაზის ნაზავი, რომელიც წარმოდგენილი იქნება სცენაზე, თანაც საკმაოდ საინტერესო და უნიკალური პროექტია. ჰიპ ჰოპის და ჯაზის ნაზავიც გვექნება წელს ფესტივალზე. დიჯეი ლოჯიკს მოჰყავს თავისი ცოცხალი ბენდი და წარმოადგენს თავის პროექტს. ფესტივალის დასკვნითი კონცერტი უკვე კლასიკური პოპის ვარსკვლავი მეგასტარი ნატალი კოლია თავის ბენდთან ერთად, რომელიც დახურავს წლევანდელ ფესტივალს. ასე რომ, წელს გვაქვს ოთხი, მაგრამ საკმაოდ მაღალი დონის კონცერტი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ხელოვანები ჩამოვლენ თბილისში.

– თქვენი ჯაზფესტივალის მიმართ ინტერესი დიდია?

– კი, გასაყიდი ბილეთების დაახლოებით 10 პროცენტიღაა დარჩენილი.

– დაბალი ფასი განაპირობებს თქვენს ფესტივალზე მაყურებლის მოსვლას თუ გემოვნებიანი მსმენელი გვყავს და ესმით, რაზე მიდიან?

– დიდი გემოვნება ნატალი კოლს არ სჭირდება. ძალიან ყრუ უნდა იყო, რომ ნატალი კოლს არ მოუსმინო. გემოვნებიან მსმენელს რაც შეეხება, ცოტა გასაკვირია, რომ მუსიკოსები, კონსერვატორიის ხალხი, მუსიკალური სკოლების წარმომადგენლები ავიშაი კოენით არ არიან დაინტერესებული. ყველაზე მეტად ამ დაწესებულებების წარმომადგენლები სწორედ ავიშაი კოენის კონცერტს უნდა დაესწრონ. ჯერჯერობით ყველაზე ცოტა ბილეთი სწორედ მის კონცერტზეა გაყიდული. უფრო სპეციფიკური და ინტელექტუალური მუსიკაა და ბევრად იაფიც დავადეთ ბილეთის ფასი, რომ სტუდენტები მრავლად დაესწრონ. 20-30 ლარი ღირს ბილეთი, ამიტომ მგონია, რომ საკმაოდ ხელმისაწვდომია. თან ჩვენი გენერალური სპონსორია თიბისი სტატუსი და მათი ბარათებით ვინც ყიდულობს, კიდევ 20-პროცენტიანი ფასდაკლებაა და საბოლოოდ ისეთი ფასი გამოდის ბილეთზე, რომ კინოშიც კი ვერ წახვალ მაგ ფულით.

– იქნებ არც იციან ავიშაი კოენის შესახებ საქართველოში?

– და ეს არის სწორედ ყველაზე დიდი შეცდომა. დღეს არანაირი პრობლემა არ არის ინფორმაციის მოპოვების, თან „ფეისბუქზეც“ გვაქვს ვიდეოები, მათი საიტებია, ახლა ხომ აღარ არის საბჭოთა კავშირი, რომ ინფორმაცია დაკეტილი იყოს. ყველასთვის ღიაა ყველაფერი, სადაც სხვა მუსიკოსები იციან, ესეც უნდა იცოდნენ, მით უმეტეს მათ, ვინც კლასიკაში მოღვაწეობს, კლასიკურ მუსიკას უსმენს, ჯაზი მოსწონს და სერიოზული პრეტენზია აქვს, რომ გემოვნებიანი მსმენელია, ის ხალხი უნდა დაესწროს სწორედ ავიშაი კოენის კონცერტს, თან ძალიან დაბალი ფასებია, 20 და 30 ლარი არ არის კატასტროფა თანხა, უცხოეთში მაგ ფასად სამოსსაც არ დაგაკიდებინებენ გარდერობში. 20 ლარი, მგონია, რომ ყველას აქვს, თან ეს თანხა ხომ ცხოვრებაში ერთხელ უნდა გადაიხადო?! განა რამდენჯერ უნდა მიხვიდე ასეთი დონის კონცერტზე?

– მარკუს მილერი უკვე ჩვენებურად ითვლება, იმდენჯერ იყო საქართველოში.

– პრინციპში ბევრჯერ არა. საქართველოში მესამედ მოდის, მაგრამ თბილისში – მეორედ. მას ყოველთვის სხვადასხვა და განსხვავებული პროექტები ჩამოაქვს, საკმაოდ აქტიურად მუშაობს. სამჯერ ჩამოსვლა საქართველოში არ არის ბევრად მიჩნეული, მარკუს მილერი მონტროს და ნორსის ფესტივალზე 30-40-ჯერ არის გამოსული, მის კონცერტებზე სულ ერთი და იგივე ხალხი დადის, იმიტომ რომ მას არასოდეს აქვს ერთი და იგივე პროგრამა და მის შემოქმედებაში სულ სიახლეებია. ჩვენთან ბოლოს მარკუს მილერი 2009 წელს იყო და ჩამოიტანა მაილს დევისის პროექტი, ახლა მოაქვს „რენესანსი“, სულ სხვა პროგრამაა და წევრებიც ახლები ჰყავს. თუმცა ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის მარკუს მილერის სამჯერ ჩამოსვლა უკვე დიდი პატივია. სხვათა შორის, ერთი და იგივე მუსიკოსის მეორე და მესამე კონცერტებზე უფრო და უფრო მეტი ხალხი მოდის ხოლმე. ასე იყო ელ ჯეროს შემთხვევაშიც, ზავინულზეც ასე იყო. ვინც არ ესწრებოდა, მერე ის ხალხიც დაესწრო. თბილისი სადღაც 2-მილიონიანი ქალაქია, ფილარმონიაში ეტევა 2 ათასი კაცი და განა პირველ კონცერტზე რამდენმა ნახა მარკუს მილერი? 2 ათასმა კაცმა, ხომ? და რამდენმა ვერ ნახა? ასჯერ უფრო მეტმა, ამიტომ მეორე ჩამოსვლაზე ის ხალხი მოდის, ვინც იცის, რომ წინა კონცერტზე ვერ მოხვდა და ძალიან მაგარი იყო. ბევრი, ვიცი, ნანობს, რომ ვერ იყო კონცერტზე და გული სწყდებათ. ბევრი იმასაც ნანობს, რეი ჩარლზზე რომ არ იყო. როცა ეს ვარსკვლავები ჩამოდიან, თამამდებიან ხოლმე ქართველები და ამბობენ, მერე რა, ახლა ვერ ვნახე, მერე ვნახავო, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. როცა დრო გადის, მერე ხვდებიან, რომ წააგეს, ამ ვარსკვლავების კონცერტებს რომ არ დაესწრნენ. რომ გადის წლები და ხვდებიან, რა შანსი გაუშვეს ხელიდან, ამიტომ ბევრმა ისწავლა ჭკუა და ასე აღარ იქცევიან, თან საშუალო ასაკის თაობიდან ბევრს აქვს სამსახური, შესაბამისად, ხელფასიც, ვიდრე უფროს თაობას. ადრე პირიქით იყო. დღეს ახალგაზრდებიც აქტიურად მოძრაობენ და დადიან ამ კონცერტებზე. 50 და 20 ლარს 2-მილიონიან ქალაქში მგონია, რომ 2 ათასი კაცი შოულობს, პრინციპში, ალბათ, უფრო მეტიც. ისეთ დიდ სიამოვნებას იღებენ ხოლმე ამ კონცერტებზე, რომ ბილეთებს წინასწარაც ყიდულობენ. ამ მხრივ პრობლემები არ გვაქვს. მარკუს მილერი და ნატალი კოლი ანშლაგებით მიდის, კიდევ ორი კვირაა წინ და მაყურებელს დრო აქვს.

ერთი რამე მინდა ვთქვა: არც ერთ მუსიკალურ და ხელოვნების არც ერთ ღონისძიებაზე საქართველოში ორი თვით და თვე-ნახევრით ადრე ბილეთები არაფერზე არ იყიდება, ჯაზფესტივალის კონცერტების გარდა. ასეა თბილისში და ასეა ბათუმშიც.

– წელს რა ღირს თქვენს ჯაზფესტივალზე ბილეთები?

– 300-ლარიანი აბონემენტები იყო, ყველაფერზე დადიხარ ამ ფასად. უკვე აღარც ერთი აბონემენტი აღარ არის, ყველა გაიყიდა. იმაზე საუბარი, რომ ძვირია, ზედმეტია. რაც ყველაზე ძვირიანია, ის უკვე აღარ არის, გაიყიდა. 300 ლარად იციან, რომ 6 კონცერტს დაესწრებიან და თანაც კონცერტი გამოდის 50 ლარი. ვისაც მუსიკა უყვარს მართლა, მას უღირს ასეთ კონცერტებზე სიარული, თანაც როცა რეკლამა ნახევარი წლით ადრე მიდის, ხალხი უკვე ფულს ზოგავს, აგროვებს და აუცილებელი სულაც არ არის, რომ მილიონერი იყო. ვიცით, რომ ხალხი ხელფასებიდან თვიდან თვემდე აგროვებენ ჯაზფესტივალის კონცერტების ბილეთების ფულს.

– როგორ არჩევთ ჯაზფესტივალის სტუმრებს?

– ჩვენ ვთვლით, რომ ქართველ საზოგადოებას გემოვნებას ვასწავლით. ჩვენი მისიაც ეს არის, ჩვენმა წინამორბედებმა გამოზარდეს თაობები. მამაჩემის თაობას ვგულისხმობ, მამაჩემი ახლაც არის ჩვენს გუნდში. 1978 წლიდან ამ ქვეყანაში ჩვენ ვაკეთებთ ამას და, პრინციპში, მუსიკალური გემოვნება ვასწავლეთ ჩვენ, ჩვენ უფრო დიდი გამოცდილება გვაქვს, ვიცით რა არის ღირებული, შეიძლება ვიღაც პოპსტარი არ ჩამოვიყვანოთ, რომელიც ერთჯერადი ვარსკვლავია, მხოლოდ ერთი სიმღერით ახსოვს მსმენელს და მერე ივიწყებენ, იმიტომ რომ ჩვენ გვირჩევნია, ისეთი ხელოვანები ჩამოვიყვანოთ, ვინც წლების მერეც ლეგენდებად რჩებიან. გვქონია შემთხვევა, რომ მოსულან ჩვენს ჯაზფესტივალზე და მერე გაუგიათ, რა კონცერტზე მოხვდნენ, უყიდიათ მათი დისკები, იგივე ჰენკოკი, ზავინული, იგივე შაქტი რომ გვყავდა მაკლაფლინის. მათ კონცერტებზე მოვიდნენ, აზრზე არ იყვნენ, სად იყვნენ და მერე გახდნენ მათი ფანები. ეს ფესტივალები იმისთვისაა, რომ ზოგი ნაცნობი სახე ჩამოგვყავს, ზოგიც უკვე ვარსკვლავია. დარწმუნებული ვარ, ავიშაი კოენის კონცერტიდან გაგიყვანეს გავა ხალხი, ნატალი კოლზე აღარ მაქვს საუბარი, ის ყველასთვის არის ცნობილი, როგორც რეი ჩარლზი, როგორც ჯეიმს ბრაუნი და, როგორც პოლ მაკარტნი, ასეთი სახელია და აუცილებლად სანახავია, მოლოდინი გაქვს, მისი რეპერტუარი იცი და ავიშაიზე და მარკუსაზე რა დახვდებათ, არავინ იცის, რადგან ბევრი მოულოდნელობა და სიურპრიზია დაგეგმილი.

– წელს ქართველი ჯაზშემსრულებლები არ იქნებიან თქვენს ფესტივალში?

– წელს არ არიან, მაგრამ ჯემსეიშენზე, როდესაც აფთერპარტის მოაწყობს დიჯეი ლოჯიკი, იქ ჩაერთვებიან ქართველი შემსრულებლებიც. უკვე ვიცით, ვინ ჩაერთვება, მაგრამ ჯობია, სიურპრიზად დარჩეს. ჩვენ ბათუმშიც გვყავდა გამოყვანილი ქართული ჯგუფები და სულ ვცდილობთ, რომ ახალი პროგრამით წარდგნენ მსმენელის წინაშე. როცა ასეთი ვარსკვლავების გვერდით დგახარ, ღირსეულიც უნდა იყო, ამიტომ ყველას ვეუბნებით, მოამზადე საინტერესო პროგრამა და გამოგიყვანთ. როცა მილიონერი მარკუს მილერი თავს არ ზოგავს და სულ ახალ პროგრამაზე მუშაობს, ქართველმა რატომ უნდა იზარმაცოს? თუ სიახლე არ იქნება, ფესტივალზე გამოსვლას აზრი არ აქვს. ფესტივალი იგივე გამოფენაა, სიახლეებით არის სულ დატვირთული. ბექა გოჩიაშვილი ფესტივალზე გამოვიდა, დიჯეი ლოჯიკმა ნახა და ნიუ იორკში დისკი ჩაწერეს ისეთი, მთელი ამერიკა გაგიჟებულია. ვიღაცამ კორკოტა მოისმინა და უცხოეთში წაიყვანეს და ასე გაგრძელდება, ვინც ახალ პროგრამას გააკეთებს, ჩვენ გამოვიყვანთ. ერთი და იგივე სახეები პრობლემა არ არის, მთავარია, პროგრამა ჰქონდეთ ახალი, კარგი და საინტერესო. დონე ცოტა მაღალი უნდა იყოს, ისეთი ვარსკვლავები ჩამოდიან, დიდი განსხვავება არ უნდა იგრძნობოდეს, თორემ სხვაობა ქართველებისთვისაც ცუდია. ხელოვანი ხალხი ხომ იმისთვის არსებობს, რომ სიცოცხლის ბოლომდე საკუთარი თავის განვითარებაზე ფიქრობდეს, როგორც კი გაჩერდები, იქ ყველაფერი დამთავრებულია.

– კულტურის სამინისტრომ განაცხადა, რომ თქვენს ფესტივალებს სამინისტროს დაფინანსება არ სჭირდება.

– ეს პოზიცია კულტურის სამინისტრომ უკვე შეიცვალა. კულტურის სამინისტრო თბილისის ფესტივალს გვერდში დაუდგა და პატარა დაფინანსებით გვეხმარებიან. ჩვენი მხარდამჭერი კულტურის სამინისტროც არის და თბილისის მერიაც. ჩვენ ამ თემაზე არც ბრძოლა აგვიტეხია, არც პანიკა და არც პროტესტი გამოგვითქვამს. ნაწილობრივ ვეთანხმები მათ მოსაზრებას, იმიტომ რომ საქმეში უნდა ნახო ხალხი. ბათუმის და თბილისის ფესტივალები დავიწყეთ ჩვენით, ვანახვეთ რისი გამკეთებლები ვართ, სხვებთან შეგვადარეს და მიხვდნენ, რომ თავის თავს ეს ფესტივალი ვერასდროს ამოიღებს. ისეთი ძვირადღირებული ვარსკვლავები ჩამოდიან, მაშინ 3 ათასი დოლარი უნდა დაადო ბილეთს ფასი და ასეთ ძვირიან ბილეთს ვინ იყიდის? კლასიკასა და ჯაზს დახმარება ყოველთვის სჭირდება, სანამ ხალხი არ გამდიდრდება და თუკი საქართველო გამდიდრდება, ამაზე კარგი რა იქნება. კულტურის სამინისტრო მხარში დაგვიდგა და გვჯერა, რომ ეს მომავალშიც გაგრძელდება და ბათუმის ჯაზფესტივალზე აისახება. ახლა სიმბოლური თანხით დაგვეხმარნენ, თუმცა, მთავარია, ყინულმა დადნობა დაიწყო. ბათუმზე გვინდა ისევ იმ მასშტაბებს დავუბრუნდეთ და ხანგრძლივი იყოს ფესტივალი. რაც უფრო მეტი ხალხი ჩადის დიდხანს, უფრო მეტი ფული შემოდის. მით უმეტეს, ამ პერიოდში 3-4 მილიონამდე შემოვიდა ტურიზმის თვალსაზრისით. როგორც კი ფესტივალი მორჩა, ქალაქი თითქმის დაიცალა, ყველამ მართლა დაინახა, რამხელა მნიშვნელობა აქვს ამხელა ღონისძიებებს. თბილისელები ჩამოდიან, მათ ტურისტებად არ თვლიან, მაგრამ ვისაც კარგი შემოსავალი აქვს, ოჯახებით მიდიან და ფულს ნიცაში და ანტალიაში ხარჯავენ, მაგრამ ბათუმის ფესტივალის გამო, ჩამოდიან და თანხებს უკვე საქართველოში ხარჯავენ. 70-80 პროცენტი ამ ფესტივალზე ქართველები იყვნენ და თანაც ის ქართველები, ვინც ბათუმში საერთოდ არ ჩადიოდნენ დასასვენებლად, მაგრამ ამ ჯაზფესტივალის გამო აღმოჩნდნენ აჭარაში. უხეშად ვიტყვი, უკვე „პონტია“ იქ ყოფნა, ჯაზფესტივალი არის მოდური, თანაც ისეთი პროგრამაა ყველა თაობის მსმენელს რომ დააკმაყოფილებს, ლათინური ჯაზი, ბრაზილიური ჯაზი, რეპიც არის, მსუბუქიც, ყველა თავის მოსაწონს პოულობს, ელექტრონული მუსიკაც იყო, ამიტომ ოჯახებით მოდიან და საქართველოში ეს უკვე ცხოვრების წესია, თან აგვისტოში კი აღარ ვატარებთ, არამედ ივლისში. ვისაც რა შეუძლია ამ ქვეყანაში კარგად, ის უნდა აკეთოს. თვითმფრინავზე რომ დამსვათ, ვერ წავიყვან, კარგი ბიჭი ვარ, მაგრამ მართლა ვერ წავიყვან, იმიტომ, რომ არ ვიცი მისი მართვა. ამიტომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს და ამას ხალხიც ხედავს.

– პონტის გამო დადიან თქვენს ფესტივალებზე თუ უყვართ ჯაზი?

– ვინც ლაპარაკობს, რომ ჩვენს ფესტივალებზე მოდის გამო დადიან, ის ტიპი მიდის და იგივე თანხას სახინკლეში ხარჯავს. ერთხელ რომ მოვიდეს ის კონცერტზე, ვარიანტი არ არის, არ მოეწონოს, თან ისეთი შერჩევა გვაქვს, ძალიან რთული და მძიმე ჯაზი არ არის, რომ ვერ გაიგო. იგივე ნატალი კოლს, ჯემი როქვაის, მაიკლ ფრენსს რა გაგება უნდა? ვინც ამას ლაპარაკობს, თვითონ ეძებს მიზეზებს, რომ თავისი თავი გაამართლოს, იმიტომ არ იყო, რომ მოდის გამო დადიან, პერო-მერო ხალხი ესწრება და ა.შ. არადა, პერო-მერო დადის 10 პროცენტი, 90 პროცენტი ფულს აგროვებს, კრედიტებსაც იღებენ, რომ კონცერტებზე მოხვდნენ. ახლა თიბისიმ ისიც გააკეთა, რომ კრედიტით იღებ აბონემენტს და მერე ნელ-ნელა იხდი, მაგრამ ყოველგვარი პროცენტის გარეშე. ჩვენთან ყველაზე ძვირიანი ბილეთი ნატალი კოლია, 150 ლარი ღირს და იწყება 60 ლარიდან. ლონდონში ორი დღით ადრე არის იგივე კონცერტი და მისი ფასი იწყება 100 ფუნტიდან და ადის 500 ფუნტამდე. 500 ფუნტი არის 1500 ლარი, ამ დროს ალბერტ ჰოლი არის ორი ფილარმონიის ხელა. თუ შეადარებთ, მართლა სასაცილო ფასები გვაქვს. რომ ამბობენ, ევროპაში კაპიკები ღირსო, ეს სისულელეა. ჩემზე ბევრჯერ საქართველოდან უცხოეთის კონცერტებზე არავინ ყოფილა. 10 დოლარად და 3 დოლარად კი უცხოეთში კონცერტზე არასოდეს მოვხვედრილვარ.

– კულტურის სამინისტრომ ისიც გაახმოვანა, რომ აღარ იქნება საახალწლო კონცერტები და უცხოელი ვარსკვლავებიც საქართველოში აღარ ჩამოვლენ.

– ეს სახელმწიფოს გადასაწყვეტია, თანაც საახალწლო კონცერტებს ჩვენ არ ვაკეთებდით. ჩვენ საახალწლო კონცერტებს ჩვენთვის ვაკეთებთ, ჩამოგვყავს ცნობილი ვარსკვლავები, შარშან „ინკოგნიტო“ გვყავდა ივენთ ჰოლში, წელს მასეო პარკერი გვეყოლება თავისი ჯეიმს ბრაუნის ოლსტარით. ჩვენ ჩვენთვის ყოველთვის ვაწყობთ ასეთ კონცერტებს, ახალ წელს მარტო ღვინის სმით და გოჭების ჭამით არ ვხვდებით, ჩვენ სხვანაირად ვზეიმობთ, ჩვენ ვართ აქ კუნძული, რომელიც დიდი ხანია ნატოში ვართ. ვინც შემოვა ჩვენს კუნძულზე, მშვენიერ დროს გავატარებინებთ.

სიმართლე რომ ვთქვა, საახალწლო კონცერტები იყო შეკვეთა და სულ ორი გავაკეთეთ. ანდრეა ბოჩელის კონცერტის ორგანიზატორები ჩვენ არ ვიყავით, სხვა აკეთებდა, მათ უნდოდათ ბოჩელის ჩამოყვანა 7 სიმღერით, მაგრამ რაღაც პრობლემა შეექმნათ, ვერ ჩამოიყვანეს, ჩვენ გვთხოვეს, რომ დავხმარებოდით და ჩამოვაყვანინეთ, თანაც მოგება არ აგვიღია ერთი კაპიკი. მაგის მერე გავაკეთეთ ხულიო იგლესიასი და ეს იყო ყველაზე რთული სამუშაო. მან თავის ცხოვრებაში პირველად ახალი წლის ღამეს იმღერა ქუჩაში, თანაც უცხოეთში, ძალიან რთული დასათანხმებელი იყო. იგლესიასზეც 22 ათასი ტურისტი გადმოვიდა ბათუმში. ამ კონცერტზე მილიონი ლარი რომ დაეხარჯა სახელმწიფოს, 22 ათასი ტურისტით შემოვიდა 12-14 მილიონი დოლარი. აბა, დათვალეთ, რა ჯობია? მილიონი დავხარჯო და ათი მილიონი ავიღო, ცუდია? ცოტა სხვანაირი დასათვლელია ეს ყველაფერი. შეიძლება, კულტურის სამინისტროსთვის ეს ფული დიდი ფულია, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან მაგარი მოსაგებია. იგივე ბათუმის ჯაზფესტივალი ავიღოთ, 200-300 ათას დოლარს გვაძლევენ და 4-5 მილიონი შემოდის, სულ არ გინდა ამ დროს მუსიკის ცოდნა, მილიონი დახარჯე, 4 მილიონი მოიგე, გიჟი ხარ, რომ არ ჩაატარო? ამიტომ ვამბობ, ყველა უნდა ნახო საქმეში, ჩვენ ციფრებით გვაქვს ყველაფერი და პირველი შედეგიც სახეზეა, ძალიან კარგია, როცა ანალიზის უნარი აქვს ადამიანს, ძალიან ნორმალური ხალხია სამინისტროში, თავიდანვე მეგობრულად შევხვდით, მეგობრულად დავშორდით და კვლაც გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობები. ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. თუ დაგვეხმარებიან, უფრო კარგი იქნება ქვეყნისთვის, ამით სახელმწიფოს დაეხმარებიან, თორემ ჩვენ კი არ დაგვეხმარებიან.

– თუ არის ისეთი ვარსკვლავი, რომლის ჩამოყვანას წლებია ცდილობთ, მაგრამ ან არ ვერ გამოდის?

– კი, ასეთი ბევრია. კეიტ ჯარეტი, პეტ მეტნი ეს ჯაზმენები არიან. საქმე ის არ არის, რომ არ ჩამოდიან, ერთი კონცერტისთვის არ უღირთ ჩამოსვლა, ჩვენ ბაქოზეც ვმუშაობთ, რომ ერთობლივი კონცერტები დაიგეგმოს და ამ შემსრულებლების ტურნე მოეწყოს კავკასიაში. იგივე ნატალი კოლი 4 წელზე მეტია გვინდა ჩამოვიყვანოთ და ვწვალობთ. სერჟიო მენდესზე ვიწვალეთ 3 წელი, მარკუს მილერზე ვიწვალეთ ძალიან მაგრად თავიდან, მაგრამ ერთი რომ ჩამოვლენ, მერე უკვე უპრობლემოდ მოდიან. ნატალი კოლი, იცით, რატომ მოდის? ერიკა ბადუ და მესი გრეი რომ იყვნენ ჩვენთან, მათგან გვაქვს დადებითი რეკომენდაციები და...

– ჭირვეულები არიან?

– არა. ჩვენ უკვე წინასწარ ვიცით ყველას მოთხოვნები, ყველაფერი კონტრაქტში წერია. ამ მხრივ დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა. პირიქით, ისეთ სიურპრიზებსაც ვაწყობთ, რომ აქედან გაგიჟებულებს ვუშვებთ, მით უმეტეს – ქალებს.

სანაკრებო პაუზის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატები განახლდება

ინგლისი

19.10 ნიუკასლი-ლივერპული	4.2	3.6	1.83
19.10 ჩელსი-კარდიფი	1.25	6.0	11.0
19.10 არსენალი-ნორვიჩი	1.28	5.5	10.0
19.10 სტოკი-ვესტ ბრომვიჩი	2.25	3.25	3.25
19.10 ევერტონი-ჰალი	1.44	4.2	8.0
19.10 მანჩესტერი-საუთჰემპტონი	1.55	4.0	6.0
19.10 სუონსი-სანდერლენდი	1.57	3.8	6.0
19.10 ვესტ ჰემი-სიტი	5.0	3.75	1.7
20.10 ასტონ ვილა-ტოტენჰემი	3.6	3.4	2.05
21.10 კრ.პალასი-ფულემი	2.62	3.25	2.7

ნიუკასლი-ლივერპული

ნიუკასლი: ***ტრავმა***-ფაბრიციო კოლოჩინი, სტივენ ტეილორი, მასაიდო ჰაიდარა

ლივერპული: ***ტრავმა***-ჯო ალენი, კოუტინიუ, გლენ ჯონსონი, ალი სისოკო

ჩელსი-ჯაჰდიფი

ჩელსი: ***ტრავმა***-ეშლი კოული, ფერნანდო ტორესი, მარკო ვან გინკელი

კარდიფი: ***ტრავმა***-ანდრეას კორნელიუსი

არსენალი-ნორვიჩი

არსენალი: ***ტრავმა***-მესუთ ოზილი, ტომაშ როსიცკი, ბაქარი სანია, თეო უოლკოტი, სანტი კაზორლა, იაია სანოგო, ლიკაშ პოდოლსკი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, აბუ დიაბი

ნორვიჩი: ***ტრავმა***-ენტონი პიკინტონი

სტოკი-ვესტ ბრომვიჩი

სტოკი: ***ტრავმა***-ჯონათან უოლტერსი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმა***-ვიქტორ ანიშებე, სკოტ სინკლერი, მატეი ვიდრა, ბენ ფოსტერი, ზოლტან გერა

ევერტონი-ჰალი

ევერტონი: ***ტრავმა***-დარონ გიბსონი, სტივენ პიენაარი, ანტოლინ ალკარაზი

ჰალი: ***ტრავმა***-რობი ბრეიდი, ჯეიმს ჩესტერი, რობერტ კორენი

მანჩესტერი-საუთჰემპტონი

მანჩესტერი: ***ტრავმა***-ტომ კლეიერლი, დარენ ფლეტჩერი

საუთჰემპტონი: ***ტრავმა***-არტურ ბორუცი, დანიელ ოსვალდო, ლუკ შოუ

სუონსი-სანდერლენდი

სუონსი: ***ტრავმა***-ჯონათან დე გუზმანი, ეშლი უილიამსი

სანდერლენდი: ***ტრავმა***-კირონ ვესტვუდი, სტივენ ფლეტჩერი, ვესლი ბრაუნი, ფილ ბიორდსლი

ვესტ ჰემი-სიტი

ვესტ ჰემი: ***ტრავმა***-ალუ დიარა, ენდი კეროლი

სიტი: ***ტრავმა***-ვინსენტ კომპანი, ჯეკ როდვეილი, მარტინ დემიკელისი

ასტონ ვილა-ტოტენჰემი

ასტონ ვილა: ***ტრავმა***-იორეს ოკორე, ჩარლზ ნზოგბია

ტოტენჰემი: ***ტრავმა***-დანი როუზი, იუნის ქაბული, ეტიენ კეპუ, აარონ ლენონი

კრ.პალასი-ფულემი

კრ.პალასი: ***ტრავმა***-კაგიშო დიკაჩოი, დანი გაბიდონი, ჯონათან უილიამსი

ფულემი: ***ტრავმა***-ბრედ ჰანგელანდი, დიმიტარ ბერბატოვი, სკოტ პარკერი, მეტიუ ბრიგი, აარონ ჰაგესი, მარტინ სტეკელენბურგი

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	7	5	1	1	14-8	16
2.ლივერპული	7	5	1	1	11-5	16
3.ჩელსი	7	4	2	1	10-4	14
4.საუთჰემპტონი	7	4	2	1	7-2	14
5.სიტი	7	4	1	2	17-8	13
6.ტოტენჰემი	7	4	1	2	6-5	13
7.ევერტონი	7	3	3	1	10-9	12
8.ჰალი	7	3	2	2	6-7	11
9.მანჩესტერი	7	3	1	3	10-9	10
10.ასტონ ვილა	7	3	1	3	9-8	10
11.ნიუკასლი	7	3	1	3	9-12	10
12.ვესტ ბრომვიჩი	7	2	3	2	7-6	9
13.ვესტ ჰემი	7	2	2	3	7-5	8
14.კარდიფი	7	2	2	3	7-9	8
15.სუონსი	7	2	1	4	8-11	7
16.სტოკი	7	2	1	4	4-7	7
17.ნორვიჩი	7	2	1	4	5-9	7
18.ფულემი	7	2	1	4	5-9	7
19.კრ.პალასი	7	1	0	6	5-3	3
20.სანდერლენდი	7	0	1	6	5-16	1

ესპანეთი

19.10 რეალი-მალაგა	1.22	6.0	12.0
19.10 ვალენსია-სოსიედადი	1.73	3.5	5.0
19.10 ოსასუნა-ბარსელონა	11.0	6.0	1.25
19.10 ესპანიოლი-ატლეტიკო	4.8	3.6	1.75
20.10 გრანადა-ხეტაფე	2.15	3.25	3.5
20.10 ალმერია-რაიო	1.85	3.75	4.0
20.10 ბეტისი-ელჩე	1.73	3.5	5.0
20.10 ვალიადოლიდი-სევილია	2.9	3.4	2.37
21.10 სელტა-ლევანტე	2.05	3.25	3.8
21.10 ბილბაო-ვილიარეალი	2.2	3.4	3.2

ხეალი-მალაგა

რეალი: ***ტრავმა***-გარეთ ბეილი, ხაბი ალონსო

მალაგა: ***ტრავმა***-ბობლეი ანდერსონი, ფაბრისი

ვალენსია-სოსიედადი

ვალენსია: ***ტრავმა***-ადილ რამი, ელდერ პოშტიგა, დიეგო ალვეში, ჟოაო პერეირა

სოსიედადი: ***ტრავმა***-მიკელ გონსალესი, გაზტანაგა, ხავი პრიეტო, დანიელ ესტრადა, ესტებან გრანერო, დიეგო იფრანი

ოსასუნა-ბარსელონა

ოსასუნა: ***ტრავმა***-რაოლ ლოე, რობერტო ტორესი, ნინო

ბარსელონა: ***ტრავმა***-ხავიერ მასკერანო, ლიონელ მესი, ხორდი ალბა, იბრაჰიმ აფელაი, ისაკ კუნკა, კარლეს პუიოლი

ესპანიოლი-ატლეტიკო

ესპანიოლი: ***ტრავმა***-ფელიპე მატიონი, გაბრიელ ტორხე, ექტორ მორენო

ატლეტიკო: ***ტრავმა***-რაულ გარსია, ადრიანი

გრანადა-ხეტაფე

გრანადა: ***ტრავმა***-რეჩიო, დანიელ ბენიტესი, პიტი

ხეტაფე: ***ტრავმა***-ლაფიტა, სერხიო ესკუდერო, ვალერა

ალმერია-ხაიო

ალმერია: ***ტრავმა***-მარსელო სილვა

რაიო: ***ტრავმა***-ნაჩო მარტინესი, ადრი ემბარბა, კრისტიან კუევა, სებასტიან ფერნანდესი, ხისე კარლოსი

ბეტისი-ელჩე

ბეტისი: ***ტრავმა***-რუბენ კასტრო, ედერ ვილარჩაო

ელჩე: ***ტრავმა***-ედუ ალბაქარი

ვალიადოლიდი-სევილია

ვალიადოლიდი: ***ტრავმა***-მანუშო, ლუის სასტრე, ოსკარი, ალვაარო რუბიო

სევილია: ***ტრავმა***-შტეფან მბია, ვიტოლო, ფერნანდო ნავარო, დენის ჩერიშევი, სისინიო

სელტა-ლევანტე

სელტა: ***ტრავმა***-სამუელ ლორკა

ლევანტე: ***ტრავმა***-არავინ

ბილბაო-ვილიარეალი

ბილბაო: ***ტრავმა***-არიტც ადურიზი, იბაი გომესი, მიკელ ბალენზიაგა, კიკე სოლა

ვილიარეალი: ***ტრავმა***-ერნან პერესი, ფრანსისკო ფარინოსი

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	8	8	0	0	28-6	24
2.ატლეტიკო	8	8	0	0	21-6	24
3.რეალი	8	6	1	1	17-9	19
4.ვილიარეალი	8	5	2	1	15-7	17
5.ხეტაფე	8	4	1	3	12-11	13
6.ბილბაო	8	4	1	3	13-13	13
7.ვალენსია	8	4	1	3	11-11	13
8.ესპანიოლი	8	3	2	3	11-11	11
9.ლევანტე	8	2	4	2	8-14	10
10.მალაგა	8	2	3	3	11-7	9
11.სევილია	8	2	3	3	13-14	9
12.ელჩე	8	2	3	3	8-11	9
13.ბეტისი	8	2	2	4	8-10	8
14.გრანადა	8	2	2	4	5-8	8
15.სოსიედადი	8	1	4	3	6-9	7
16.სელტა	8	1	3	4	8-12	6
17.ვალიადოლიდი	8	1	3	4	7-13	6
18.ოსასუნა	8	2	0	6	6-13	6
19.რაიო	8	2	0	6	6-21	6
20.ალმერია	8	0	3	5	11-19	3

იტალია

19.10 კალიარი-კატანია	2.0	3.25	4.0
19.10 მილანი-უდინეზე	1.67	3.8	5.0
20.10 ატალანტა-ლაციო	2.75	3.2	2.62
20.10 ფიორენტინა-იუვენტუსი	3.5	3.25	2.15
20.10 ჯენოა-კიევო	2.05	3.25	3.8
20.10 ლივორნო-სამპდორია	2.4	3.1	3.1
20.10 სასუოლო-ბოლონია	2.45	3.25	2.9
20.10 ვერონა-პარმა	2.37	3.4	2.9
20.10 ტორინო-ინტერი	3.5	3.4	2.05

ხალიხი-ხატანია

კალიარი: ***ტრავმა***-დანიელე დესენა, ალბინ ეკდალი, ფრანჩესკო პისანო

კატანია: ***ტრავმა***-სებასტიან ლეტო, ნიკოლას სპოლი

მილანი-უდინეზე

მილანი: ***ტრავმა***-შტეფან ელ შაარავი, მატიას სილვესტრი, ჯანპაოლო პაცინი, დანიელე ბონერა

უდინეზე: ***ტრავმა***-მაურისიო დომიცი

ატალანტა-ლაციო

ატალანტა: ***ტრავმა***-ჯულიო მილიაჩიო

ლაციო: ***ტრავმა***-მიროსლავ კლოზე, აბდულაიე კონკო, ედერსონი, ბრუნო პერეირა, ჯუზეპე ბიავა, შტეფან რადუ, სტეფანო მაური

ფიორენტინა-იუვენტუსი

ფიორენტინა: ***ტრავმა***-ფაკუნდო რონკალია, იოსიპ ილიჩიჩი, მარიო გომესი, აჰმედ ეგაზი

იუვენტუსი: ***ტრავმა***-მაურისიო ილსა, მირკო ვუჩინიჩი, შტეფან ლიხშტეინერი, მარტინ კასერესი, სიმონე პეპე

ჯენოა-კიევო

ჯენოა: ***ტრავმა***-სიმ ვრაიჩკო, ლუკა ანტონელი

კიევო: ***ტრავმა***-ალესიო სესტუ, დარიო დაინელი

ლივორნო-სამპდორია

ლივორნო: ***ტრავმა***-მარკო ბიაჯიანტი

სამპდორია: ***ტრავმა***-მირკო ერამო, ჯანლუკა სანსონე, გაეტანო ბერარდი

სასუოლო-ბოლონია

სასუოლო: ***ტრავმა***-მარსელო გაზოლა, ემანუელ ტერანოვა

ბოლონია: ***ტრავმა***-მიქელე პაციენცა

ვერონა-პარმა

ვერონა: ***ტრავმა***-ვანგელის მორასი, დომენიკო მაიეტა

პარმა: ***ტრავმა***-ჯონათან ბიაბიანი, სტეფანო ოკაკა ჩუკა, დანიელე გალოპა

ტორინო-ინტერი

ტორინო: ***ტრავმა***-მიჯენ ბაშა, ომარ ელ კადური, გილერმო როდრიგესი, ჩეზარე ბოვო, მარსელო ლარონდო

ინტერი: ***ტრავმა***-დიეგო მილიტო, რიკარდო ალვარესი, კრისტიან კივუ, მაკდონალდ მარიგა, ხავიერ ძანეტი

სატურნირო ცხრილი:

1.რომა	7	7	0	0	20-1	21
2.ნაპოლი	7	6	1	0	18-4	19
3.იუვენტუსი	7	6	1	0	14-6	19
4.ინტერი	7	4	2	1	16-6	14
5.ვერონა	7	4	1	2	13-10	13
6.ფიორენტინა	7	3	3	1	13-8	12
7.ლაციო	7	3	2	2	11-10	11
8.უდინეზე	7	3	1	3	9-8	10
9.ტორინო	7	2	3	2	10-10	9
10.პარმა	7	2	3	2	11-12	9
11.ატალანტა	7	3	0	4	9-10	9
12.მილანი	7	2	2	3	13-13	8
13.ლივორნო	7	2	2	3	8-10	8
14.კალიარი	7	1	4	2	8-11	7
15.ჯენოა	7	1	2	4	6-11	5
16.კატანია	7	1	2	4	5-11	5
17.კიევო	7	1	1	5	5-13	4
18.სამპდორია	7	0	3	4	6-13	3
19.ბოლონია	7	0	3	4	8-20	3
20.სასუოლო	7	0	2	5	5-21	2

გერმანია

19.10 ბაიერნი-მაინცი	1.1	9.5	21.0
19.10 ბრაუნშვაიგი-შალკე	4.6	3.8	1.73
19.10 დორტმუნდი-ჰანოვერი	1.22	6.5	11.0
19.10 აინტრახტი-ნიურნბერგი	1.55	4.0	6.0
19.10 ვერდერი-ფრაიბურგი	2.05	3.5	3.5
19.10 ჰერტა-გლადბახი	2.4	3.5	2.8
20.10 ჰამბურგი-შტუტგარტი	2.37	3.75	2.7
20.10 აუგსბურგი-ვოლფსბურგი	2.37	3.4	2.9

ბაიერნი-მაინცი

ბაიერნი: ***ტრავმა***-ხავი მარტინესი, ტიაგო ალკანტარა, ჰოლგერ ბადშტურბერი

მაინცი: ***ტრავმა***-ბოსვენსონი, ჯულიან ბაუმგარტნერი, ნიკო ბუნგერტი, შოუ პარკერი

ბრაუნშვაიგი-შალკე

ბრაუნშვაიგი: ***ტრავმა***-მარიან პეტკოვიჩი, იან ჰოშეიდტი, მარსელ კორეა

შალკე: ***ტრავმა***-ჯეფერსონ ფარფანი, რენე კლინგენბურგი, ლეონ გორეცკა, კრისტიან ფუჩსი, კლაას-იან ჰუნტელაარი, კირიაკოს პაპადოპულოსი

დორტმუნდი-ჰანოვერი

დორტმუნდი: ***ტრავმა***-სოკრატის პაპასტატოპულოსი, მარსელ შმელცერი, სებასტიან კელი, ილქაი გუნდოგანი

ჰანოვერი: ***ტრავმა***-სალიფ სანე, კრისტიან პანდერი, სტივენ ჩერუნდოლო

აინტრახტი-ნიურნბერგი

აინტრახტი: ***ტრავმა***-ალექსანდერ მეიერი, იან როზენტალი, პირმინ შვეგლერი

ნიურნბერგი: ***ტრავმა***-დანიელ გინჩეკი, ჰანო ბალიტჩი, ტიმო გებრაჰქი

ვერდერი-ფრაიბურგი

ვერდერი: ***ტრავმა***-ოზკან ილდრიმი, სედრიკ მაკიადი, ალექსანდერ იგნიოვსკი

ფრაიბურგი: ***ტრავმა***-მენსურ მუჯდა, ვაცლავ პილარი

ჰერტა-გლადბახი

ჰერტა: ***ტრავმა***-პეერ კლუგე, მარსელ ნდიენგი

გლადბახი: ***ტრავმა***-ფილიპ დაემსი

ჰამბურგი-შტუტგარტი

ჰამბურგი: ***ტრავმა***-ჟი გინ ლამი, ტომას რინკონი, დენის დიკმაიერი

შტუტგარტი: ***ტრავმა***-მორის ლეიტნერი, სვენ ულრიხი, დანიელ დიდავი

აუგსბურგი-ვოლფსბურგი

აუგსბურგი: ***ტრავმა***-რაულ ბობადილა

ვოლფსბურგი: ***ტრავმა***-კრისტიან ტრაში

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	8	6	2	0	15-3	20
2.დორტმუნდი	8	6	1	1	21-7	19
3.ლევერკუზენი	8	6	1	1	18-8	19
4.გლადბახი	8	4	1	3	19-13	13
5.ჰანოვერი	8	4	1	3	11-11	13
6.ჰერტა	8	3	3	2	14-9	12
7.შტუტგარტი	8	3	2	3	16-10	11
8.შალკე	8	3	2	3	14-17	11
9.ვერდერი	8	3	2	3	9-12	11
10.ჰოფენჰაიმი	8	2	4	2	20-20	10
11.მაინცი	8	3	1	4	12-17	10
12.აუგსბურგი	8	3	1	4	9-15	10
13.აინტრახტი	8	2	3	3	11-13	9
14.ვოლფსბურგი	8	3	0	5	9-11	9
15.ჰამბურგი	8	2	2	4	17-19	8
16.ნიურნბერგი	8	0	5	3	9-17	5
17.ფრაიბურგი	8	0	4	4	9-18	4
18.ბრაუნშვაიგი	8	1	1	6	5-18	4

საფრანგეთი

19.10 პსჟ-ბასტია	1.22	6.0	13.0
19.10 აიაჩო-ნანტი	3.1	3.1	2.4
19.10 ევიანი-გენგამი	2.3	3.3	3.1
19.10 მონპელიე-ლილი	2.87	3.2	2.5
19.10 რენი-ვალანსიენი	1.8	3.5	3.6
20.10 სოშო-მონაკო	7.5	4.2	1.44
20.10 სტ.ეტიენი-ლორიენი	1.61	3.8	5.5
20.10 ლიონი-ბორდო	2.15	3.2	3.5

პსჟ-ბასტია

პსჟ: ***ტრავმა***-ტიაგო სილვა

ბასტია: ***ტრავმა***-არავინ

აიაჩო-ნანტი

აიაჩო: ***ტრავმა***-სიგამარი დიარა, ჯუნიორ ტალო, დენის ოლეიხი, რიკარდო ფატი

ნანტი: ***ტრავმა***-ვინსენტ ბესა, იოან ედელინი

ევიანი-გენგამი

ევიანი: ***ტრავმა***-ჯონათან მენსა, ფაბრის ერე, მარკო რუბენი

გენგამი: ***ტრავმა***-მამადუ სამასა, ჯონათან პერეირა

მონპელიე-ლილი

მონპელიე: ***ტრავმა***-ქარიმ აიტ-ფანა, გარი ბოკალი

ლილი: ***ტრავმა***-მარკო ბაშა, რაიან მენდესი

რენი-ვალანსიენი

რენი: ***ტრავმა***-ვესლი საიდი, ჯონ ბოიე, სტივენ მორეირა

ვალანსიენი: ***ტრავმა***-გრეგუარ პუიოლი, რუდი მატერი

სოშო-მონაკო

სოშო: ***ტრავმა***-ჟერომ როსილონი

მონაკო: ***ტრავმა***-ემანუელ რივიერე, ლავინ კურზავა, ჯერემი ტულანანი

სტ.ეტიენი-ლორიენი

სტ.ეტიენი: ***ტრავმა***-მევლუთ ერდინგი, ლოიკ პერინი, იდრის საადი, ჯონათან ბრისონი, ბრანდაო

ლორიენი: ***ტრავმა***-აბდულაიე დიალო, ჟილ სუნუ, ლამინე კონე, ალაინ ტრაორე

ლიონი-ბორდო

ლიონი: ***ტრავმა***-სამუელ უმტიტი, ანტონი ლოპესი, მილან ბიშევაჩი, მუჰამადუ დაბო, იოაჰ გურკუფი

ბორდო: ***ტრავმა***-ნიკოლას მორისბელაი, ჯერემი ბრეჩე, ანდრე ბიოკო პოკო, ჟულიენ ფობერი

სატურნირო ცხრილი:

1.მონაკო	9	6	3	0	16-5	21
2.პსჟ	9	6	3	0	14-5	21
3.ლილი	9	5	2	2	11-4	17
4.მარსელი	9	5	2	2	13-7	17
5.ნანტი	9	5	1	3	14-8	16
6.ნიცა	9	4	2	3	11-10	14
7.სტ.ეტიენი	9	4	1	4	12-11	13
8.მონპელიე	9	2	6	1	14-12	12
9.რენმსი	9	2	6	1	7-6	12
10.ბასტია	9	3	3	3	11-11	12
11.რენი	9	3	3	3	8-9	12
12.ტულუზა	9	3	3	3	7-10	12
13.გენგამი	9	3	2	4	12-10	11
14.ლიონი	9	3	2	4	13-12	11
15.ბორდო	9	2	4	3	11-12	10
16.ევიანი	9	2	3	4	10-17	9
17.აიაჩო	9	1	4	4	6-12	7
18.ლორიანი	9	2	1	6	7-15	7
19.სოშო	9	1	2	6	7-18	5
20.ვალანსიენი	9	1	1	7	5-15	4

ალბერტო ბეროკალ კორეა: საქართველოში კეთილი ხალხი ცხოვრობს

გაგრძელება მე-12 გვერდზე

„დილა“ და „ზესტაფონი“ მათ შემდეგ მოვდივართ. სპონსორის გარდა ძნელია რამეს მიაღწიო ქართულ ფეხბურთში, რადგანაც აქ სხვა შემოსავალი არ არსებობს, არა ტელევიზია, არა რეკლამები, მხოლოდ ბილეთები, ისიც მხოლოდ დიდ თამაშებში, ისიც მხოლოდ 5-6 ლარი რომელიც 2-3 ევროს ტოლია, უმეტესობა თამაშებზე კი დასწრება უფასოა...

— ასე უინტერესოა მათთვის ფეხბურთი?

— ფეხბურთის სიყვარული დიდია საქართველოში, მაგრამ მათ დაკარგული აქვთ ენთუზიაზმი საკუთარი ფეხბურთისადმი. ვთქვათ არის თამაში „დინამო“-„ტორპედო“, რომელიც ყველაზე დიდ დაპირისპირებად ითვლება ქართულ ფეხბურთში, 3-4 ათას მაყურებელზე მეტი არ მიდის მატჩის სანახავად, გამონაკლისია თუ უფასო არის დასწრება. მაგრამ ვთქვათ ჩადის გუნდი ესპანეთის მეორე დივიზიონიდან, მაშინ 20-25 ათასი მაყურებელი მივა, მაგრამ საინტერესო ის არის რომ, ისინი არა თავისი გუნდის საქომაგოდ მიდიან, არამედ მეტოქის სანახავად. თუმცა, ეროვნული ნაკრების მხრივ ყველაფერი სხვაგვარადაა, ნაკრების თამაშებზე სტადიონი ყოველთვის სავსეა, მნიშვნელობა არ აქვს ვის ეთამაშებიან და რა სპორტს, თუნდაც იყოს კალათბურთი, რაგბი...

— თავად ქვეყანა და ხალხი როგორია?

— ხალხი ძალიან კეთილია. ქალაქი თბილისი არის ევროპული ტიპის ქალაქი, რომელიც ძალიან სწრაფად იზრდება, ამასთან, ძალიან ბევრი კონსტრუქციებით და სტუმართმოყვარე ხალხით, იქ ცხოვრება ძალიან კარგი და მშვიდია, მიუხედავად იმისა რომ 5 წლის წინ რუსეთთან კონფლიქტი ჰქონდათ, ქალაქი მაინც ძალიან უსაფრთხოა. ქუთაისი 200 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, მაგრამ თბილისთან არაფერი საერთო არ აქვს, ძალიან საბჭოური ქალაქია, მიტოვებული შენობებით და ა.შ. ეს შოკისმომგვრელი სიმართლეა. მაგრამ არიან ხალხი ვინც ამ ყველაფრის შეცვლას ცდილობენ.

— თქვენ ახსენეთ რომ თბილისში სტუმართმოყვარე ხალხია, რას იტყოდით ქუთაისზე?

— ქუთაისში ძალიან სტუმართმოყვარე ხალხია და ამასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ისტორია შემიძლია გავიხსენო, მაგალითად, ერთხელ მე და ჩემი შვილი ქუჩაში მივდიოდით. როდესაც ჩემი შვილი დაეცა, მაშინვე მის გარშემო ხუთი ადამიანი გაჩნდა დასახმარებლად, ეს ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია იქ.

— გაქვთ თუ არა ყველაფერი რაც გჭირდებათ სამუშაოდ?

— დიახ, ყველაფერი მივიღე რაც მოვითხოვე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამას ზოგჯერ ძალიან დიდი დრო მიაქვს. კლუბში პრეზიდენტია მთავარი და ყველა გადაწყვეტილებას ის იღებს. რა ხდება შემდეგ? პრეზიდენტს აქვს კომპანიები, რომელიც გუნდს ეხმარებიან კვირაში ერთხელ ან ორ კვირაში ერთხელ, ეს ყველაფერი კი დროში ძალიან იწელება.

თბილისში უსახლკაროთათვის საცხოვრისების აგებას დაიწყებენ?

მერი ნამორაძე

თბილისის საკრებულოსა და მერიის აზრი უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრისებით უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ ერთმანეთს დაემთხვა. ეს ბედნიერი დამთხვევა საკრებულოში ომბუდსმენის სტუმრობას მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი კანონმდებლობით ანგარიშვალდებული არ არის საკრებულოს წინაშე მოხსენებით წარდგეს, ადამიანის უფლებების კომისიის მოწვევა ნანუა შვილმა მიიღო და რეკომენდაციებითაც ესტუმრა საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებს.

ასეთი პრეცედენტი გუშინ პირველად დაფიქსირდა საკრებულოში და წევრებმა იმდენად მოიწონეს, ალბათ, სამომავლოდაც ხშირად უმასპინძლებენ ომბუდსმენს. – შევეჯიბროთ პარლამენტს ომბუდსმენის რეკომენდაციების შესრულებაში! – ასეთი იყო ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე კახა კუკავას სურვილი.

გუშინ თბილისის საკრებულოსა და მერიის მთავარ პრიორიტეტად ნანუა შვილმა უსახლკაროთათვის საცხოვრისებით უზრუნველყოფის აუცილებლობა დაასახელა. არავინ იცის, კონკრეტულად რამდენი უსახლკარო ოჯახი ჰყავს დედაქალაქს, არ არსებობს ერთიანი მონაცემთა ბაზა მათ შესახებ. არ არის განსაზღვრული, რა სახის პროცედურით უნდა შემოწმდეს ოჯახი, რომ ჩაითვალოს უსახლკაროდ. ომბუდსმენის თქმით, 7657-მა უსახლკარო ოჯახმა მოითხოვა მერიისგან საცხოვრებელი ფართით და ბინით დაკმაყოფილება გასულ წელს და ეს ციფრი ძალზე მაღალია. მერიის პასუხი ამ ოჯახების მიმართ შაბლონურია: განცხადებას განიხილავენ და თუ საშუალება იქნება, გაითვალისწინებენ! მაგრამ რას გაითვალისწინებენ, უკვე გასაგებია, როცა არ არსებობს საბინაო ფონდი. ამიტომ მათი თხოვნა-მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება.

არ არის გამორიცხული, მათ ნაწილს არც შეეფერებოდეს უსახლკაროთა სტატუსი. ამიტომ რეკომენდაცია ასეთია – უნდა შეიქმნას ერთიან მონაცემთა ბაზა, დადგინდეს კრიტერიუმები, როდის და რა შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს ოჯახი ბინით და აუცილებლად უნდა გამოიყოს თანხები სოციალური საცხოვრისის ასაშენებლად. თუმცა, ომბუდსმენი იქვე დასძენს, რომ თუ უსახლკაროთა კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს ოჯახი, ეს არ ნიშნავს, რომ ის მოწყვლად ჯგუფს არ განეკუთვნება.

– დღეს უკვე მიმდინარეობს მსჯელობა მომავალი წლის ბიუჯეტზე და ძირითადი პრობლემები სოციალ-ეკონომიკური ხასიათისაა. სათანადო საცხოვრისის და სხვა სოციალ-ეკონომიკური უფლებების დაცვის მხრივ, რომელიც ჩვენს ანგარიშშია მოცემული, მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტში მოხდეს შესაბამისი სახსრების გათვალისწინება. გვექნება დისკუსია, რათა ნათლად დაინახოს საკრებულომ ის საჭიროებები, რაც ქალაქის წინაშეა, – აღნიშნა ნანუა შვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

როგორც აღმოჩნდა, სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის ყველაზე კარგი პერსპექტივა ბათუმში გამოიკვეთა. ნანუა შვილის ინფორმაციით, გასულ წელს ბათუმის მუნიციპალიტეტში 866 უსახლკარო ოჯახის განცხადება შევიდა საცხოვრისის მოთხოვნით. საცხოვრისის მოთხოვნაზე ბათუმში უკვე შეიქმნა ერთიანი საინფორმაციო ბაზა, სახსრები გამოყოფილია და უახლოეს მომავალში ასეთი სახლით 140 ოჯახი დაკმაყოფილდება.

ამ კუთხით თბილისში მიუსაფართა ერთადერთ იმედად შვეიცარიის მთავრობის დახმარებით აგებული საცხოვრისი რჩება, სადაც ბინების განაწილებამ სერიოზული უთანხმოება გამოიწვია და საკრებულოსა და მერიის წევრები დააბნია კიდეც, ვის უნდა მიეღო საცხოვრებელი. შერჩევის კრიტერიუმი, რომელიც თავად შვეიცარიის მხარემ წარმოადგინა და აქცენტს ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აკეთებდა, მაინცდამაინც მისაღები არ აღმოჩნდა ქართული სინამდვილისთვის. როგორც საკრებულოს წევრმა ზაზა გაბუნიამ აღნიშნა, მადლობის მეტი რა ეთქმოდა შვეიცარიის ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ლოგინად ჩავარდნილთა გარდა, სხვა კატეგორიის უსახლკაროთა დაკმაყოფილების უფლება ფაქტიურად არ ჰქონდა ამ პროექტს.

გუშინდელ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მარტოხელა მოხუცთა თავშესაფრების მოწყობის აუცილებლობაზეც. როგორც ომბუდსმენმა აღნიშნა, სახალხო დამცველის აპარატი ხანდაზმულთა უფლებების დასაცავად გააქტიურებას აპირებს და საკრებულოსთან ერთად შესთავაზებს მთავრობას თანხები გამოყოს ასეთი თავშესაფრის მოსაწყობად.

მართალია, ომბუდსმენის შეხვედრა-დისკუსია საკრებულოსა და მერიის წევრებთან ამ ფორმატით პირველად მოხდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციები ადრე ვერ აღწევდა ადგილობრივი ხელისუფლების ყურამდე. მაგრამ დაფინანსების ნაკლებობა და კეთილი ნების არქონა პირდაპირ იწვევდა რეკომენდაციების შეუსრულებლობას.

ომბუდსმენმა მერიასა და საკრებულოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნისაკენ მოუწოდა. ასევე სამსახურებიდან უკანონოდ გათავისუფლებულებზეც გაამახვილა ყურადღება, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებები სამართლებრივი დასაბუთების გარეშე მიიღებოდა.

საკრებულოს უმრავლესობის წევრმა, ზაზა გაბუნიამ, ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის ოფისის პარტნიორები არიან იმ თვალსაზრისით, რომ იქნებიან მაკონტროლებლები რეკომენდაციების შესრულების პროცესში.

– საკითხი, რომელიც ჩემ მიერ იქნა დასმული, ეხება საცხოვრისების თემას, იმ ადამიანებს, რომლებსაც უბრალოდ არ აქვთ ჭერი, სახლი, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო და რომელთა პრობლემის მოგვარება, სამწუხაროდ, ამდენი წლის განმავლობაში ვერა და ვერ მოახერხა თბილისის ბიუჯეტმა. არ არსებობს საინფორმაციო ბაზა, არ გვაქვს ზუსტი ციფრი უსახლკარო ადამიანებისა. პირველ რიგში, აუცილებელია ასეთი ბაზის შექმნა. უნდა გადავხედოთ კრიტერიუმებს, რომელიც შესაბამისად მოყვანილი უნდა იქნას ჩვენს სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობასთან. უნდა დაიწყოს საცხოვრისების მშენებლობა, რათა ეტაპობრივად, ყოველწლიურად, დავიწყოთ ამ პრობლემის მოგვარება. ის ტემპები, რომელსაც მერია გვთავაზობს, არის აბსოლუტურად მიუღებელი. ამ თვალსაზრისით ბევრი ცვლილება იქნება განსახორციელებელი და შესატანი თბილისის ბიუჯეტში. 2014 წლის ბიუჯეტზე სულ მალე დაიწყება მუშაობა და სახალხო დამცველს ვუთხარით, შევთანხმდით, რომ ბიუჯეტში ამას ექნება განსაკუთრებული ასახვა. ერთია ჩვენი ნება, გაცხადებული რიტორიკულად, მეორეა ის, რომ ამისთვის საჭიროა დიდი რაოდენობით ფულადი რესურსი, – განაცხადა გაბუნიამ.

სახალხო დამცველი, რა თქმა უნდა, იმაზე არ ოცნებობს, რომ 2014 წელს შესაძლებელი იქნება იმდენი თანხის მობილიზება, ყველა უსახლკაროს დაკმაყოფილება შეძლოს დედაქალაქმა. მთავარია, პრობლემის მოგვარება დაიწყოს და ნანუა შვილი ვარაუდობს, რომ 5 წელიწადში უსახლკაროთა რაოდენობა მინიმუმამდე დავა.

ჩვენს საყვარელ
თამარ ნინიძეს
ვულოცავთ დამადგმის დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მედნიერებას, სულის სიმრთელეს, წარმატებებს ქურნალისტურ საქმიანობაში და ყოველგვარ სიკეთეს ოჯახთან ერთად!

სიყვარულით,
„ახალი თაობა“

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უმარავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეზზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

TV პროგრამა

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

ოთხშაბათი 21 ოქტომბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებითი-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ჯუზიანი**" (უ.მარე) **17.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.20** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **23.20** მხ/ფ "**ძვირფასი მეგობრები**" (ა.ვილაჯო) **01.30** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "საბერძნეთი – ათენი" **08.30** მხ/ფ "**საოცარი მისტერ ბარნანდერი**" (ლ.ჯეფრისი) **10.20** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "დიდებული დუნაი" **10.50** მხ/ფ "**დაკაბე გონება**" (ს.კარელი) **12.45** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "ჩეხეთის რესპუბლიკა" **13.15** მხ/ფ "**გზა და კავშირი**" (კ.ბეიკონი) **15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ციცი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (**05.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY სასწრაფო დახმარება **00.20** მხ/ფ "**ოჯახის ღირსება**" (კ.ტერნერი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ქალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **00.00** სერ. "**ექვმი პაუსი**". **01.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი

ერთსულოვნება 06.00, **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ "**გაზაფხლული გადლის**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.15** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ქალაქი ანარა**" **13.20** ქართული მულტფილმი **13.40** დოკ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.25** სპექტაკლი "**ნაპოლი მილიონერთა ქალაქი**" **17.10** კონცერტი - ელისო ვირსალაძე და ნატალია გუტმანი I ნაწ. **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ულმერთოთა ღამე**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.30** მოკ/ფ "**ახალგაზრდა სიყვარული**","**კარუსელი**" (რეჟ.მიხეილ კობახიძე) **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. V **23.40** დოკ/ფ "სტუმრად თუშებთან" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**მე ბებია ილიკო და ილარიონი**"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15 სერიალი "ღრუბლებს ზილმა"** (გამ) . **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი/(გამ.). **16.00 სერიალი "რთული გზა"**. **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

სამშაბათი 22 ოქტომბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებითი-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ბინგო ბონგო**" (ა.ჩელენტანო) **17.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "ეთნოგრაფიული ჩანახატები" **19.30** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი (პ/რ) **00.40** მხ/ფ "**ესპრეზე**" (მ.ბელუჩი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.30, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "პეკინი" **14.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **15.30 ფეხბურთი** – ევროპის **17** წლამდე ფეხბურთელთა შესარჩევი ეტაპის მატჩი: **საქართველო – კოლუმბია** I-II ტაიმი (პ/რ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ციცი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კონცერტი:"ბაეშანი ვერაზე – გიზო ნიშნიანიძე" 1 ნაწ. (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ "**შუაღამე პარიზში**" (რ.მაკადამსი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ქალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **00.00** სერ. "**ექვმი პაუსი**". **01.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი

ერთსულოვნება 06.00, **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** ნიამორი **07.05** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. V **11.05** დოკ/ფ "ჯავახეთის გაზაფხული" **11.15** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ულმერთოთა ღამე**" **13.30** ქართული მულტფილმი **14.00** დოკ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" **14.45, 23.50** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი - ელისო ვირსალაძე და ნატალია გუტმანი II ნაწ. **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ულმერთოთა ღამე**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.30** მოკ/ფ "**ახალგაზრდა სიყვარული**","**კარუსელი**" (რეჟ.მიხეილ კობახიძე) **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. V **23.40** დოკ/ფ "სტუმრად თუშებთან" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**მე ბებია ილიკო და ილარიონი**"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) . **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

ოთხშაბათი 23 ოქტომბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებითი-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ვინცეტუ - I**" **17.00** დ/ფ "თანამედროვე იარაღი" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "მეხსიერება" **19.30** "ჩვენი ეზო" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი (პ/რ) **00.40** მხ/ფ "**სუინი თოდი:წყეული დალაქი ფლით სთრიფიდან**" (ჯ.დეპი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ციცი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ღამის შოუ (**06.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) **00.00** მხ/ფ "**შოპაპოლიკი**" (ჰ.დენსი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ქალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** სერ. "**ექვმი პაუსი**". **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

ერთსულოვნება 06.00, **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** ნიამორი **07.05** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **10.10** ჩვენი ფონდი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ/ფ "**ქოლგა**" **13.10** დოკ/ფ "მესაზღვრე ბერები" **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - საქართველო სახელმწიფო საგუნდო კაპელა **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ალუა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" II ნაწ. **02.00** ნიამორი

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) . **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფორზვირის“ ნებართვით

ხუთშაბათი 24 ოქტომბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებითი-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**პროფესიონალი პროფესიონალებს შორის**" (ჟან-პოლ ბელმონდო) **17.00** დ/ფ "სამხედრი საზღვაო შეიარაღება" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.20** "უცნობი მუსიკა" **00.20** მხ/დოკ/ფ "**ჰაკი მურაბი – ფილმი**" **როგორიც არ დაიდგა**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "სან-ფრანცისკო" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.55** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ციცი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** კაცების შოუ **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" (გ/ჩ) **01.00** მხ/ფ "**ფლამანდიური დაფა**" (ჯ.ვუდი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ქალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი (**1** სარეკლამო ჭრა) **00.00** სერ. "**ექვმი პაუსი**". **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

ერთსულოვნება 06.00, **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** ნიამორი **07.05** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი" **11.20, 14.45** ფოტოგალერეა **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ალუა**" **13.25** ქართული მულტფილმი **13.55** დოკ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -ანს. "ერისიონი" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**სინემა**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** დოკ/ფ "მტაცედ და ერთად" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ზღვარზე" გად. II **23.40** ჩვენი ფონდი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გლასის ნაამბობი**"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ). **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

პარასკევი 25 ოქტომბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებითი-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ბუმი-2**" (ს.მარსო) **17.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **23.15** მხ/ფ "**საბანგებო ექსტრადიცია**" (რ.უიზერსპუნტი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.55** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ციცი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40** იმედის გმირები (**06.10.13** გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ ღია ეთერი (პ/ე) **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" (გ/ჩ) **01.00** მხ/ფ "**გრინსთრითელი ხულიგნები**" (კ.ფორლანი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ქალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

ერთსულოვნება 06.00, **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ "**აგლახის ნაამბობი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "მტაცედ და ერთად" **11.00** "ზღვარზე" გად. II **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**სინემა**" **13.20** ქართული მულტფილმი **13.40** დოკ/ფ "მთასაყდარი" **14.00** დოკ/ფ "აკაკი" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი -ანს. "მთიები" **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**სანამ ღვიმა გადიკლიდეს**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ "**ქრისტინე**" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**აბეზარა**"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"**. **12.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.).

შაბათი 26 ოქტომბერი

08.00 საბ/ფ "**ვილის გათავისუფლება**" **10.00** "პეპე და მეგობრები" **11.00** საბ.ან/სერ "დაქ დოჯერსი" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** კონცერტი: "გალობანი სინანულისანი" – დ. ევგენიძე" ვ. მაჭავარიანი **14.10** მხ/ფ "**ოსტინ პაუერსი გოლდმემბერი**" **16.30** ქართ. მხ/ფ "**სარეგა და გოგია**" **18.00** "ეტალონი" **19.00** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **19.30** "გურმანია" **21.00** "სოციალური თოქ შოუ" **22.20** "წითელი ზონა" **23.20** მხ/ფ "**მდევარი**" **01.30** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები"

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ვარშავა" **11.30** მხ/ფ "**მელნის გუდი**" (ჰ.მირენი) **13.25** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ტიბეტის ძველი სამეფო" **13.55** მხ/ფ "**ენდე საკუთარ თავს**" (ა.ბანდერასი) **17.00 ფეხბურთი** – საქართველოს ჩემპიონატი: **დინამო** /თბილისი/ – **ტორპედო** /ქუთაისი/ I-II ტაიმი (პ/რ) **19.00** "ეპიცენტრი" (პ/ე) **20.30** მხ/ფ "**პიკის საათი-3**" (კ.ტაკერი) **22.00** ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" **8** სერ. **23.00** მხ/ფ "**უკანასკნელი სამურაი**" (ტ.კრუზი)

08.00 ან/ფ "ავატარი" **09.00** მხ/ფ "**კადეტი კელი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ეკოვიზია **12.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **13.00** სერ."**პანა მონტანა**" **14.30** ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) **17.50, 19.05** სერ. "**უდანაშაულო**" **20.55** ფულთან თამაში **22.00** ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" **23.00** კაცების შოუ **00.00** სერ."**აპმორას კლანი**" **01.00** მხ/ფ "**სისხლიანი შოუ**" (კ.მილერი)

08.00 კურიერის დაიჯესტი **09.00** მხ/ფ **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** შერეკილები. **14.00** ეკი ვოკი. **15.30** ნიჭიერი - გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **23.00** კომედი შოუ **00.30** მხ/ფ

ერთსულოვნება 06.00, **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** საქართველოს ქალაქები **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ქაპიტენები**" **13.15** ქრისტიანული ხელოვნება **14.00** მოკ/ფ "**ახალგაზრდა სიყვარული**","**კარუსელი**" (რეჟ.მიხეილ კობახიძე) **14.20** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.25** მხ/ფ "**სისფერი მთები**" **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.30** მხ/ფ "**გზა**"

მაესტრო 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** "ფარული კამერა" **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 3.15** ახალი ამბები **8.05, 9.05** მულტფილმი "ტრონი" (გამ) **9.30, 10.05, 11.05, 12.30, 13.05, 14.05, 15.30, 17.10, 19.00, 0.30 სერიალი "ასი"** **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55** კვირის აზრები **20.00, 22.00** თოქ-შოუ "საპრეზიდენტო არჩევნები" **0.00** ახალი ამბები (პირდაპირი) **1.15, 6.00 სერიალი "სკანდალი"** **2.15** საპრეზიდენტო არჩევნები **-2013** ნაწ.**1 4.00** საპრეზიდენტო არჩევნები **-2013** ნაწ.**2**

ჯვირა 27 ოქტომბერი

08.00 "ეტალონი" **09.00** "მოამბე" საგანგებო რეჟიმით **13.00** "სამოთხის ვაშლები" **20.00** "მოამბე" **21.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** ქართ. მხ/ფ "**სარეგა და გოგია**" **00.30** მხ/ფ "**ბრომა**" (ბ.პიტი)

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მეხიკო" **09.00** დ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **10.00** დ/ფ "კოდის კონცხი" **11.00** მხ/ფ "**მარსიანელი ბავშვი**" **13.00** დ/ფ "წელიწადის დრონის ფენომენი" **14.00** მხ/ფ "**სამყარო მფეველია**" **16.00** "მსოფლიოს ოდისეები" – "იორდანია - უდაბნოს სამეფო" **16.30** მხ/ფ "**ბუმი**" (ს.მარსო) **18.30** დ/ფ "ჰოლივუდი" **19.30** მხ/ფ "**პრესტი ჟი**" (ჰ.ჯეკმანი) **22.00** ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" **9**

როდის გაათავისუფლებენ იულია ტიმოშენკოს?

რუსეთს უკრაინაში რევოლუცია სურს, — თვლის უკრაინელი დეპუტატი

— უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოციირების თაობაზე ხელშეკრულების დადება, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია. რჩება უკანასკნელი დაბრკოლება. ესაა ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშენკოს საკითხი, — განაცხადა პოლონეთის ექს-პრეზიდენტმა კვასნევსკიმ.

იულია ტიმოშენკომ უკრაინის უახლეს ისტორიაში მართლაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. პოლიტიკაში ის ცნობილი ოლიგარქის პავლო ლაზარენკოს დახმარებით მოვიდა. ლაზარენკო, რომლის სახელიც საერთაშორისო მასშტაბის აფიორებთან იყო დაკავშირებული (ამის გამო ის ახლაც აშშ-ის ციხეში იმყოფება), უდიდესი ამბიციურობით გამოირჩეოდა. მისი სანუკვარი ოცნება უკრაინის პრეზიდენტობა იყო. ლაზარენკოს კრახის შემდეგ მისი გუნდი დაიფანტა. უმრავლესობამ თავი მაშინდელი პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას კალთას შეაფარა. იულია ტიმოშენკო გამონაკლისი იყო. მან მხარი დემოკრატებს დაუჭირა. ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ იულია ვლადიმიროვნამ პრემიერის პოსტი დაიკავა, ხოლო ხელისუფლებაში იუშჩენკოს მოსვლის შემდეგ პრემიერი გახდა. თუმცა ტრიუმფს მალე დაცემაც მოჰყვა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხელისუფლების შეცვლა სკანდალებთანაა დაკავშირებული. ეს ბევრი მაღალჩინოსანისათვის ცუდად მთავრდება. გამონაკლისი ამ მხრივ არც უკრაინა იყო. ხელისუფლებაში იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგ ტიმოშენკო დააპატიმრეს. ბრალად რუსეთთან გაზის მიწოდებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების დადება წაუყენეს. ახალი ხელისუფლება თვლიდა, რომ პრემიერმა თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა. სასამართლომ ტიმოშენკოს შვიდწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ამ დაპატიმრებამ უკრაინა-დასავლეთს შორის ურთიერთობები გაართულა. საერთაშორისო იზოლაციის კონტურები რეალურად გამოიკვეთა.

— შესაძლოა, ტიმოშენკო უმნიკვლო არაა, მაგრამ შეხედეთ იანუკოვიჩის გარემოცვას. პრეზიდენტთან დაახლოებული ბევრი პირი უმოკლეს ხანში გამდიდრდა. კანონს მათ მიმართ რატომ არ აამოქმედებენ? — ამ კითხვას ხავიერ სოლანა სვამდა.

როგორც ცნობილია, კიევმა საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლა შეძლო და ვიქტორ იანუკოვიჩის ძალისხმევით დასავლეთთან დიალოგი განახლდა. დღეისათვის ასოცირებაზე შეთანხმების რატიფიკაცია უკვე რეალობაა. რჩება უკანასკნელი სერიოზული დაბრკოლება — ტიმოშენკო.

— უკრაინას ასოცირების თაობაზე ხელშეკრულების ხელისმოწერამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა, — განაცხადა ევროკომისარმა შტეფან ფიოლემ.

ევროპაში უკრაინის მნიშვნელობა კარგად ესმით, თუმცა ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ტიმოშენკოს გააფთრებით იცავს ევროპის სახალხო პარტია. მისი დეპუტაცია ევროპარლამენტში ხმამაღლა აცხადებს, უკრაინასთან ასოცირების თაობაზე ხელშეკრულების რატიფიცირებას არ დავუშვებთ, თუკი ტიმოშენკოს არ გაათავისუფლებენო. აღსანიშნავია გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის პოზიცია:

— ევროკავშირთან არავითარი ხელშეკრულების რატიფიცირება არ მოხდება! ამას თავად უკრაინელი ხალხი არ დაუშვებს! — განაცხადა გლაზიევმა.

უკრაინის კომპარტიამ და ცნობილ ოლიგარქ მედვედჩუკის მომხრეებმა მასობრივი აქციების აგორება სცადეს. მთავარი ფსონი უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებზე გაკეთდა, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა დომინირებს. მცდელობა მარცხით დასრულდა. აქციებზე მხოლოდ 300-500 ადამიანის, ისიც უმეტესწილად პენსიონერების გამოყვანა მოხერხდა.

— მოლდოვისაგან განსხვავებით, უკრაინაში მასობრივი გამოსვლების ორგანიზება ვერ მოხერხდა. როგორც ჩანს, უკრაინული სახელმწიფო უფრო ძლიერია, ვიდრე მოლდავური და უნარი აქვს, კრემლში შემუშავებული სცენარები თავიდან აიცილოს! — თვლის ბი-ბი-სი.

რევოლუციის ინსპირირების პირველი მცდელობა ჩაიშალა. პრორუსული ძალები ახლა მთავარ იმედს 14 ოქტომბერზე ამყარებდნენ, როცა უპა-ს (უკრაინის აჯანყებულთა არმია) შექმნის 71 წლისთავი აღინიშნებოდა. „სვობოდა“ ამ დღეს, ტრადიციულად, ქუჩებში მსვლელობებს ატარებს. უკრაინელი კომუნისტების ლიდერმა სიმონენკომ განაცხადა:

— უპა ანუ ბანდერელები ფაშისტების დამქაშები იყვნენ! ჩვენ მათ განდიდებას არ დავუშვებთ და, თუკი საჭირო გახდა, ნეოფაშისტებს ფიზიკურადაც დავუპირისპირდებით!

როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო, ნათქვამია. კომუნისტებმა 14 ოქტომბერს კიევში მხოლოდ 30 კაცის (!) გამოყვანა შეძლეს, მაშინ როდესაც „სვობოდამ“ 17-ათასიანი მსვლელობა მოაწყო. მასობრივი აქციები თვით ყირიმშიც კი ჩაშალა. აქ უპა-ს წინააღმდეგ მხოლოდ 400 ვეტერანი გამოვიდა. დასავლურმა პრესამ აღნიშნა, რომ უკრაინელებში საპროტესტო მუხტი უდავოდ არსებობს, მაგრამ ეს უფრო ნაციონალისტურ ხასიათს ატარებს. როგორც ჩანს, აღნიშნული ფაქტი კრემლშიც გააცნობიერეს. მოსკოვმაც ტაქტიკა შეცვალა. რადგან პრორუსული ტალღის აგორება ვერ მოხერხდა, დაიწყო იულია ტიმოშენკოს გათავისუფლების საბოტირება. რეგიონების პარტიის რიგმა აქტივისტებმა (ოლეინიკი, ბოგოსლოვსკაია და ა.შ.) თავიანთ სატელევიზიო გამოსვლებში განაცხადეს, რომ ტიმოშენკოს ისეთი არაფერი სჭირს, რათა სამკურნალოდ გერმანიაში გაუშვან. იუსტიციის მინისტრი ელენე ლუკაში კი უფრო კონკრეტული იყო. მან განაცხადა, რომ ტიმოშენკოს შეწყალებისათვის არავითარი იურიდიული საფუძველი არ არსებობს. ყველაფერმა ამან დასავლელი ანალიტიკოსები შეაშფოთა.

— თუკი ტიმოშენკოს ვილნიუსის სამიტამდე არ გაათავისუფლებენ, ამან შესაძლოა ევროკავშირთან ასოცირების თაობაზე ხელშეკრულება ჩაშალოს. უკრაინელები იანუკოვიჩს ამას არ აპატიებენ. 14 ოქტომბრის აქციამ გვიჩვენა, რომ ამ ხალხში ძლიერი ეროვნული საპროტესტო მუხტი არსებობს, — თვლის „დოიჩე ველე“.

რევოლუციი რევოლუციაა, გინდ სოციალური უწოდე მას, გინდ ნაციონალური. ორივე შემთხვევაში ქონების გადანაწილების საკითხი დადგება, რაც სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზრდება. რადგან უკრაინაში პრორუსული ტალღის აგორება ვერ მოხერხდა, კრემლი ცდილობს, ეს დესტრუქციული ნაციონალური აფეთქებით ჩაანაცვლოს. რუსული სქემა შემდეგია: ტიმოშენკოს გათავისუფლება მაქსიმალურად უნდა გაჯანჯლდეს, ისე, რომ ამან ევროპელი პოლიტიკოსები გააღიზიანოს და ვილნიუსის სამიტზე უკრაინა-ევროკავშირს შორის ხელშეკრულების რატიფიკაცია აღარ მოხდეს. პასუხად კიევში, ლვოვსა თუ სხვა ქალაქებში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყება. იანუკოვიჩს ძალისმიერი მეთოდებით დაამხობენ და, სავარაუდოდ, ფიზიკურადაც გაუსწორდებიან. პასუხად დონეცკში ან ხარკოვში უკრაინის მეორე მთავრობა შეიქმნება, რომელიც განაცხადებს, რომ კიევში აღმოცენებულ „ფაშისტურ რეჟიმს“ არ ცნობს. შედეგი მთელი ამ დაპირისპირებისა კი ის იქნება, რომ ყირიმი და უკრაინის მთელი სამხრეთი რუსეთს შეუერთდება, აღმოსავლეთ რეგიონებში კი (რომლის დედაქალაქიც, სავარაუდოდ, ხარკოვი იქნება) ბელორუსიის ანალოგიური რეჟიმი ჩამოყალიბდება.

— ეს მოსკოვის სანუკვარი ოცნებაა, — თვლის ტიაგნიბოკი, — თუმცა მას ასრულება არ უწერია! ჩვენ ამას არ დავუშვებთ!

იულია ტიმოშენკო ჯერჯერობით გისოსებს მიღმა რჩება. უკრაინის პარლამენტში ამზადებენ კანონს, რამაც ექს-პრემიერის გერმანიაში სამკურნალოდ წასვლა უნდა უზრუნველყოს. გარკვეული ძალები (როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში) ცდილობენ, ამ კანონის მიღება მაქსიმალურად გაჯანჯლონ. პრეზიდენტი იანუკოვიჩი ხმამაღლა აცხადებს, რომ როგორც კი პარლამენტი კანონს მიიღებს, მას ხელს ულაპარაკოდ მოაწერს. კვასნევსკი უკრაინა-ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირების შანსებს ოპტიმისტურად აფასებს. ამას ბევრი ევროპელი ექსპერტიც ეთანხმება.

ევროკავშირი, თავის მხრივ, ტიმოშენკოს პრობლემის მოგვარებას ცდილობს და კოქს-კვასნევსკის მისიას მუშაობის ვადა ნოემბრის შუა რიცხვებამდე გაუგრძელა. პარალელურად ელენე ლუკაში კიდევ ერთ განცხადებას აკეთებს: ტიმოშენკოს შეწყალება უკანონოა და ვერ გამიგია, ზოგიერთი უცხოელი ვაუბატონის ჭკუაზე რატომ უნდა ვიაროთო.

— როდის გაათავისუფლებენ იულია ტიმოშენკოს?

ამ კითხვამ დღეს არნახული სიმწვავე შეიძინა.

ნიკა თევზაძე

სამგლოვიარო განცხადებები

გერმანე ფაცაცია არსად წასულა

ორმოცი მიილია, რაც წუთისოფელი დატოვე, თუმცა, ისევ ჩვენთან ხარ — ჩვენ მარად ერთად ვიქნებით. შენი თავი ხომ, როგორც რჩეულთა შორის რჩეული, ჩვენ და ქართველ საზოგადოებას უფალმა იმედად მოგვივლინა, რათა როგორც ღვთისსახტად და მსგავსად შექმნილს, უანგაროწვლილი შეგეტანა ადამიანთა განღმრთობის დიდ მისიაში. ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული, წონად სიტყვას ამბობდი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, თვით შენი არსებობით კი ჩვენ ცხოვრებას გვიადვილებდი, რამეთუ ორგანულად გქონდა გათავისებული ბიბლიური სენტენცია — ერთმანეთს მხოლოდ სულიწმინდის ნიჭით, სიყვარულით აღსავსე ფიალა უნდა გავუწოდოთ. შენი სიცოცხლე ხანმოკლე იყო, მაგრამ სახელი და დიდება დაუვიწყარი იქნება.

უახლოესი მეგობრების სახელით: რევაზ გოგოხია, ირაკლი კალანდია, ლონგი ფარცვანია

მაგდა ჩხუბიანაშვილის გახსენება

გავიდა მწუხარებითა და მოგონებებით აღსავსე ერთი წელი, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ჩვენო გულისხმიერო და უღალატო მეგობარო.

20 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა. ეს ჩვენი სამეგობროს თავყრილობა, შენს კოპწია და სითბოთი სავსე სახლში სასიამოვნო გახსენებების, ხუმრობებისა და წასული მეგობრების მოგონებებით დატვირთული საღამოები ხშირად გაგვახსენდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ერთი ხალისიანი საღამოც შენთან ერთად მოგვაკლდა. დაგვრჩა მხოლოდ გარდასულ დღეთა ტკივილიანი მოგონება.

შენ შენი თავდადებული შრომით, ოჯახის უსაზღვრო სიყვარულით, დედობისა და მეუღლეობის ურთულესი ტვირთის ზიდვას სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ემსახურე. არ გიღალატია უფლის გზისთვის და ნამუსიანად, უპრეტენზიოდ, შეუბღალავად გაიარე ეს რთული გზა და სამაგალითოდ შეასრულე შენი მოვალეობა: შვილების, მეუღლის, მეგობრების, ახლობლებისა და მომავალი თაობის წინაშე.

დაუვიწყარო მაგდა! შენი არსებობით ჩვენს სამეგობროს ალამაზებდი და ამშვენიერებდი.

წახვედი დიდი გულისტკივილით, ჩვენგან კი გაიყოლე უსაზღვრო მონატრება და ცრემლი.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული!

ციალა ნაჭყებია, ლამარა ახვლედიანი, ზაირა ინასარიძე, ზაირა ნიკოლაიშვილი, ლიანა ახვლედიანი, დალი ჩხარტიშვილი, ლარისა კიკნაძე

შვილი ირმა თელია, შვილიშვილი თამარ გაჩეჩილაძე, დისშვილები ანდრო და მანანა დევდარიანები, რძლები მაია კვეზერელი-კოპაძე და დარეჯან ქუთათელაძე, მეუღლის დები ლინდა და მაია ლომთათიძეები, სიძე გია მურვანიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯემალ თეოფილეს ძე თელია

პანაშვიდი: 20, 21 ოქტომბერს.
დაკრძალვა: 22 ოქტომბერს.
მისამართი: შ.დადიანის №20.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. სოფელი ხევსურეთში; 2. მინერალი, ძვირფასი სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალა; 3. უბანი სოხუმში; 4. უბანი თბილისში; 8. ძველად სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრებისთვის; 9. გულის პერანგი; 11. პროსპერ მერიმეს ნოველა; 12. ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა; 14. დაღესტნის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ქართველი ტელეჟურნალისტი ქალი; 17. სიმღერის შესრულების იტალიური სტილი; 19. აეროპორტი ტოკიოში; 21. თითებზე ჩამოსაცმელი თოჯინა.

თარაზულად: 5. დაბალი ბუფეტი სასადილო ჭურჭლისათვის; 6. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 7. კლდეში ნაკვეთი ქალაქი ქართლში; 10. პარფიუმერიული სითხე; 13. კუთხე საქართველოში; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 18. თავაშვებული ქეიფი, დროსტარება; 20. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 22. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა; 23. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 24. მუავაგამძლე სამშენებლო მინერალი.

შეადგინა თ.ვოვინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაშო; 2. მეოხი; 3. კოიოტი; 5. დიეტა; 6. ნომინალი; 8. ყარაჩოღელი; 10, კლიენტი; 12. ალგებრა; 14. ტონიკი; 15. ღიღინი; 16. „კიევო“.

თარაზულად: 1. „ბოჰემა“; 4. ედისონი; 7. ჩხოუში; 9. ტონაჟი; 11. არქიელი; 12. ალკოჰოლი; 13. ვერაგი; 17. აბორტი; 18. ცეცე; 19. „არმანიაკი“; 20. ფიტოფაგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბუსოლი; 2. ავოკადო; 3. კემბრიჯი; 4. ბიჭვინთა; 8. ამაშუკელი; 9. დუბლიკატი; 11. „ჩაკრულო“; 12. ლისი; 14. იდეა; 16. კაპილარი; 17. ფაგოციტი; 19. ქოქოსი; 21. კობრა.

თარაზულად: 5. რეფლექსი; 6. კომერცია; 7. კალანდაძე; 10. ნიამეი; 13. შაბათი; 15. ესტრადა; 18. ხარება; 20. ბოტეგა; 22. ფოქსტროტი; 23. პროგრესი; 24. ტრავოლტა.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6682	ევრო — 2,2634
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6644	100 რუსული რუბლი — 5,1786

ამინდის პროგნოზი 19 ოქტომბრისთვის

მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 ..... მგლის ბილიკი
ტომი 2 ..... შავი ვარდი

სს „თიბისი ბანკი“
ა/ნ: GE38 TB76 6654 5161 6000 02

დარეკეთ:
09 01 70 00 56

დღეს ყველანი გვჭირდებით!

ვაჩუქოთ მაია მიქაუტაძეს სიცოცხლე!

კუნძულ უტოიაზე მოკლული ლიპარტელიანების ოჯახი დახმარებას ითხოვს – 100.000 დოლარი სიცოცხლის გადასარჩენად!

25 წლის მაია მიქაუტაძეს დაუდგინდა მწავავე ლეიკემია, რის გამოც ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია – ძვლის ტვინის გადანერგვა. ოპერაციის ჩატარების სირთულიდან გამომდინარე, საქართველოში მისი გაკეთება შეუძლებელია. მაიას ოპერაცია უნდა ჩაუტარდეს თურქეთში, რაც, სამწუხაროდ, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ოპერაციის ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100.000$, რომლის მოგროვების საშუალებაც ოჯახს დამოუკიდებლად არ გააჩნია.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აღმოუჩინოთ მაიას ნებისმიერი სახის დახმარება და ერთად გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე.

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. გაწყალებული ღვინო; 2. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 3. სპარსელი პოეტი; 5. მექსიკური სამეჯლისო ცეკვა; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 10. პრივილეგიური მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 12. ქართული ავიაკომპანია; 14. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 15. ნახატი ზღვის ხედით; 16. კომბინაცია პოკერში.

თარაზულად: 1. ქალაქი, ტბა, კანტონი შვეიცარიაში; 4. არაბეთის ზღვისა და სპარსეთის ყურის დამაკავშირებელი სრუტე; 7. კომპიუტერული თაღლითი; 9. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ტაივანის ისტორიული სახელწოდება; 12. ჩქაროსნული ავტოსტრადა; 13. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. ლითონის ზედაპირის დაშლა მექანიკური ზემოქმედების შედეგად; 18. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 20. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



მორაგბეები სტუდენტებს შეხვდნენ

2013 წლის ნოემბრის ტესტ-მატჩებისათვის მზადების პროგრამის ფარგლებში და ახალგაზრდებში რაგბის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს რაგბის კავშირმა, ეროვნული ნაკრების მოთამაშეებთან ერთად დაიწყო შეხვედრების სერია მსხვილი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან.

17 ოქტომბერს პირველი ასეთი შეხვედრა გაიმართა თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების სტუდენტებთან, რომლებსაც შეხვდნენ ეროვნული ნაკრების კაპიტანი, ირაკლი მაჩხანელი, ნაკრების წევრები შალვა მამუკაშვილი და ირაკლი ყიასაშვილი, რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე, რაგბის კავშირის სპორტული დირექტორი, ირაკლი აბუსერიძე და ეროვნული ნაკრების მენეჯერი ვასილ აბაშიძე.

შეხვედრა მეგობრულ გარემოში და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა ძალზედ დიდი ინტერესი და რაგბის საკმაოდ მაღალ დონეზე ცოდნა გამოავლინეს, რაც მათ მიერ დასმულ საინტერესო კითხვებში გამოიხატა. ნოემბრის ტესტების გარდა, შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს რაგბის ფასეულობებზე და სტუდენტების დიდ როლზე ქართული რაგბის განვითარებაში.

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, ნოემბრის ტესტებამდა დაგეგმილია ნაკრების მოთამაშეთა სხვა უნივერსიტეტებსა, თუ უმაღეს სასწავლებლებში სტუმრობა. შეხვედრის ბოლოს, ბორჯღალოსნებმა სტუდენტებს ნოემბრის ტესტებზე სტადიონებზე მოსვლა და ეროვნული ნაკრების ძლიერად მხარდაჭერა სთხოვეს.

მოსკოვში მიგრანტების წინააღმდეგ ტოტალური ბრძოლა იწყება

მოსკოვში პოლიცია ყველა ბინას შეამოწმებს, ყოველ პარასკევს კი არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ოპერაციები ჩატარდება. ეს ყველაფერი ბირიულევოში ეგორ შჩრბაკოვის მკვლელობას უკავშირდება. ამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი აზერბაიჯანელი ორჰან ზეინალოვი უკვე დააკავეს.

წლის ბოლომდე ყოველი ბინის შემოწმების ნებართვა მოსკოვის პოლიციის უფროსმა ანატოლი იაკუნინმა გასცა: „ქალაქში არც ერთი ადგილი არ უნდა დარჩეს, სადაც შესაძლოა არალეგალი მიგრანტები აფარებდნენ თავს“, – საუბარია იაკუნინის პრესსამსახურის განცხადებაში. ქალაქის ქუჩებში გაიზრდება პოლიციელთა რაოდენობა. ამასთან ყოველ პარასკევს ოპერაცია „სიგნალის“ ფარგლებში მიგრანტების „საცხოვრებლები“ შემოწმდება. იაკუნინმა პარასკევს მოსკოვის ხელისუფლების ოპერატიულ კრებაზე განაცხადა, რომ ის დაქვემდებარებულებს უფრო აქტიურად და გადამწყვეტად მოქმედებას მოსთხოვს არალეგალების წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინაიდან სწორედ ეს არის საზოგადოების მოთხოვნა.ბირიულევოს იმ ქუჩაზე, სადაც შჩრბაკოვი მოკლეს, უკვე დააკავეს 196 მიგრანტი, მათ შორის – არალეგალებიც. შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის მოქალაქე ორჰან ზეინალოვი კოლომნის პარკში აიყვანეს, სადაც ის იმალებოდა და ახლობლებისგან დახმარებას ელოდა. სწორედ მას უკავშირებენ ბირიულევოში მომხდარ, 25 წლის იგორ შერბაკოვის მკვლელობას. ერთ-ერთი ვერსიით, მან მკვლელობა უკვე აღიარა. დაკავების ადგილიდან ეჭვმიტანილი ვერტმფრენით გადააფრინეს მოსკოვში, ვერტმფრენიდან გადმოყვანილი კიდევ ერთხელ გაჩხრიკეს და შს მინისტრს კაბინეტში მიჰგვარეს. კადრები ტელეკომპანია „ნტვ-მ“ გაავრცელა.

ალბერტო ბეროკალ კორეა: საქართველოში კეთილი ხალხი ცხოვრობს

ქუთაისის „ტორპედოს“ ფიზმომზადების სპეციალისტი ალბერტო ბეროკალ კორეა სამშობლოში იმყოფებოდა. ესპანურმა მედიამაც ისარგებლა და მასთან საინტერესო ინტერვიუ ჩაწერა. გთავაზობთ, ამ ინტერვიუს იმ ნაწილს, სადაც კორეა ქუთაისსა და საქართველოზე საუბრობს.

– მოგვიყევით საქართველოში მიღებულ სამწვრთნელო გამოცდილებაზე

– ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მე მქონდა შანსი მემუშავა საქართველოში. თავდაპირველად პირველი ლიგის კლუბ „ლოკომოტივში“. იქ ერთი წელი დავყავი. მომწონდა მათი მუშაობა ისევე როგორც მათ ჩემი. შემდეგ კი მომეცა შანსი ჩემს მეგობარ, ხერარდ სარაგოსასთან ერთად სათავეში ჩავდგომოდი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს ქუთაისის „ტორპედოს“ და ევროპის ლიგაზე ასპარეზობის გამოცდილება მიმეღო.

– სადღეისოდ როგორ მიგდის საქმეები?

– ძალიან კარგად. გუნდში გვყავს 18 წლის ბიჭები, მათგან 9 საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში ირიცხება. ეს თაობა იყო პირველი რომელმაც მიაღწია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს.

– საერთოდ ქართულ ფეხბურთზე რას გვეტყვით?

– საქართველოში, როგორც ესპანეთში ფეხბურთს დიდი ისტორია აქვს. თუმცა აქ პირობები გაცილებით მძიმეა, 3-4 კლუბის გარდა ყველას ძალიან ძველი ბაზა აქვს და ეკონომიურადაც ჩამორჩენილები არიან. თბილისის „დინამოს“ კი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა აქვს, თითქმის ისეთივე დონის როგორიც ვალდებასა და ბარსელონაში. ასევე 55.000-იანი სტადიონი სადაც გასულ წელს საქართველოს ეროვნული ნაკრები ესპანეთს დაუპირისპირდა. ამას გარდა, „დინამო“ მარკეტინგულ და კომერციულ სფეროშიც გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე სხვები და ეს ყველაფერიც იმაზე მიუთითებს რომ ტოპგუნდია. „ტორპედო“, გორის

გაგრძელება მე-9 გვერდზე

სირიის შესახებ კონფერენციის ჩატარების თარიღი კვლავ უცნობია

გუშინ სირიელმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ სირიის შესახებ საერთაშორისო კონფერენცია 23-24 ნოემბერს გაიმართება. თუმცა, ამერიკამ და რუსეთმა, რომლებიც ამ კონფერენციის ორგანიზატორები არიან, განაცხადეს, რომ კონფერენციის ზუსტი თარიღი ჯერ არ დადგენილა.

„როიტერის“ ცნობით, სირიაში გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა ლაკდარ ბრაჰიმმა განაცხადა, რომ ჯერ უცნობია მოხდება თუ არა ამ კონფერენციაზე სირიის ოპოზიციასა და მთავრობის წარმოდგენა. კონფერენციის ზუსტი თარიღის შესახებ რეპორტიორებს სირიის ვიცე-პრემიერმა ქადრი ჯამილმა აცნობა. თუმცა, მის განცხადებას მალევე ჯერ რუსული, შემდეგ ამერიკული მხარე გამოეხმაურა.

„თარიღის გამოცხადება სირიელ მაღალჩინოსნებს არ ეხებათ, ეს გაეროს გენერალური მდივნის პან კი მუნის საქმეა“, – განაცხადა რუსეთის დიპლომატიური უწყების წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა.

„ჩვენ პოტენციურ თარიღზე ვიმსჯელეთ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია“, – აღნიშნა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯეი კარნეიმ.

ამასობაში, იმის გამო, რომ სირიაში ჩასული ქიმიური იარაღის ექსპერტების სასტუმროს მახლობლად აფეთქებები მოხდა, დამასკოში ინსპექტორების გუნდის მუშაობის უსაფრთხოების პრობლემა გაჩნდა. მალიკ ელაჰმ, ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, სირიის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აქამდე მათი უსაფრთხოების გამო ინსპექტორებს მუშაობაში ხელი არ შეშლიათ.

ექსპერტების გუნდმა სირიის ხელისუფლების მიერ დასახელებული 11 ქიმიური იარაღის განვითარების პროგრამის პუნქტი მოინახულა და აქედან 6-ში იარაღის განადგურება უკვე მოასწრო. ინსპექტორებმა ამ ეტაპზე მუშაობა 1-ელ ნოემბრამდე უნდა დასრულონ. სირიაში არსებული ქიმიური იარაღის არსენალის სრული განადგურება მომავალი წლის შუა თვეებში უნდა დასრულდეს.

ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

19 ოქტომბერი – მშვენიერი დღეა

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – საქმე კარგად მიდის, იაქტიურეთ. **ტუკანები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **კირჩხიბი** – ახალი პროექტი გაამართლებს, მთავარია არ მოდუნდეთ. **ლომი** – კარგ ხასიათზე ხართ, საქმეც კარგად წაგივათ. **ქალწული** – არავის ენდოთ, ინფორმაცია გადაამოწმეთ. **სასწორი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – საწადელს მიაღწევთ, მთავარია მოინდომოთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან საინტერესო ადამიანი ბრუნდება. **თხის რქა** – ქაოსია, სიტუაცია თქვენ უნდა დაალაგოთ. **მერწყული** – ბევრი საქმე გაქვთ, დასვენებისთვის დრო უნდა გამონახოთ. **თევზები** – იაქტიურეთ, სხვას ნუ დაელოდებით.

20 ოქტომბერი – ნახმატებული დღეა

ვერძი – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ტუკანები** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – ფულის პრობლემა არ გექნებათ. **ქალწული** – ყველაფერი გამოგივათ, მთავარია იმოქმედოთ. **სასწორი** – არ აყვეთ ჭორებს, გართულება არ გჭირდებათ. **ღრიანკალი** – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, წარმატება მოვა. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა, განწყობა აგიმაღლდებათ. **თხის რქა** – საწადელს მიაღწევთ, შემოქმედებით აღმასვლას განიცდით. **მერწყული** – თქვენი საქმე კარგად მიდის, იაქტიურეთ. **თევზები** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!